პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ორგან ცენტრალურ и თბილისსკოგო კომიტეტოვ კპ (ბ) გრუზიი и სოვეტოვ დეპუტატოვ ტრუდიაშჩიხსა გრუზინსკოი სსრ

სამშაბათი 23 მაისი 1939 წ. № 116 (5516) ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

ფართოდ გავშალოთ მასობრივი თავდაცვითი მუშაობა (მოწვინავე).
საბჭოთა კონტროლის კომისიაში (1-ლი გვ.)
მახოტკინის თვითმფრინავი არხანგელსკში (1-ლი გვ.)
ამხ. კოკინაკი და გორდიენკო მოსკოვს გაემგზავრნენ (1-ლი გვ.)
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის აღსანიშნავად (1-ლი გვ.)
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვ.)
ლ. ჯავახაძე — სახალხო კომისარიატების პარტორგანიზაციათა ამოცანები (ფელეტონი მე-2 გვ.)
სანიმუშოდ მოვაწყოთ მასობრივი თავდაცვითი მუშაობა (მე-3 გვ.)
რატომ დროზე არ ლებულობენ ხელსაყრელ ბინებს? (მე-3 გვ.)
უცხოეთში
ამხ. მაისკი ერთა ლიგის საბჭოს სესიის თავმჯდომარე (მე-4 გვ.)
გერმანული პრესა ბერლინში ჩიანოს ჩასვლის გამო (მე-4 გვ.)
ფრანგული გაზეთი იტალიაზე გერმანიის გავლენის შესახებ (მე-4 გვ.).

ფართოდ გავშალოთ მასობრივი თავდაცვითი მუშაობა

კაპიტალისტური სამყარო გახლართულია ახალ ეკონომიურ კრიზისში. ამ კრიზისით დაავადებულ ქვეყნებს შორის ყოველდღიურად ჩაღდება პოლიტიკური კონფლიქტები და შეჯახებანი. რაც დრო გადის, უფროდაუფრო ფართოვდება ფაქტიურად დაწყებული მეორე იმპერიალისტური ომი, რომელიც ყველა ქვეყნის ხალხებისათვის სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს.

საბჭოების ქვეყანა, რომელიც განუხრელად ატარებს სამშვიდობო პოლიტიკას, ამასთან ერთად ყოველდღიურად ანმტკიცებს თავის თავდაცვითს ძლიერებას. ლენინ-სტალინის სახელოვანი პარტიის XVIII ყრილობის ტრიბუნიდან მთელი ქვეყნის მშრომელთა საყვარელმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა** თავის შესანიშნავ მოხსენებაში გარკვეით აღნიშნა ყოველგვარი „სამკუთხედებისა“ და „ღერძების“ მოყვარულთა მისამართით, რომ ჩვენ არ გვშინია აგრესორებისა, რომელთაც სურთ საბჭოთა მიწა-წყლის ხარჯზე იცხოვრონ, არ გვშინია არც მათი მუქარისა და „...მზად ვართ ორმაგი დარტყმით გუპასუხოთ დარტყმას ომის გამჩაღებლებისას, რომლებიც ცდილობენ დაარღვიონ საბჭოთა საზღვრების ხელშეუხებლობა“.

საბჭოთა ადამიანი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე თავისი სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტია. ის ერთი წუთითაც არ ივიწყებს კაპიტალისტურ გარემოცვას, სამხედრო თავდასხმის საშიშროებას. საბჭოთა პატრიოტებს ყოველთვის ახსოვთ ამხანაგ **სტალინის** ბრძნული სიტყვები იმის შესახებ, რომ „საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა ვერავითარმა „შემთხვევითობამ“ და ჩვენი გარეშე მტრების ვერავითარმა ინიბმა ვერ მოგვისწროს მოუმზადებელს...“

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ მთელი თავისი სერიოზულობით დააყენა ჩვენს წინაშე ამოცანა — კიდევ უფრო ავამაღლოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი სიძლიერე, ფართოდ გავშალოთ მასობრივ-თავდაცვითი მუშაობა და ბოლო მოვუღოთ ამ საქმის შეუფასებლობას. XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები. მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენტთა და მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ეუფლება სამხედრო ცოდნას.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშები მასობრივად ჩაებნენ სამხედრო საქმის შემსწავლელ წრეებში. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ მუშა ახალგაზრდები, რომელთა უმრავლესობა ამ მოკლე ხნის განმავლობაში უკვე დაეუფლა ხიშტით კვეთებისა და ხელყუმბარის ტყორცნის საქმეს. ისინი ამავე დროს წარმატებით განაგრძობენ საჰაერო-ქიმიური თავდაცვის ნორმების ჩაბარებას, საბრძოლო შაშხანისა და ხელის და დაზგის ტყვიამფრქვევის დაუფლებას.

სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის მუშებმა წამოაყენეს ლოზუნგი — გადავაქციოთ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები თავდაცვის ციხე-სიმაგრედ. ისინი პრაქტიკულად შეუდგნენ ამ ლოზუნგის განხორციელებას. თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციის სათავეში უნარიანი და ამ საქმით დაინტერესებული ამხ. ა. ბუსოიანი დააყენეს. ფაბრიკაში გაიშალა თავდაცვითი მუშაობა. უპარტიო მუშამ ამხ. ა. ესკიზარსკიმ საუკეთესოდ შეისწავლა სროლა, სულ მცირე დროში ჩააბარა ვოროშილოვისებური მსროლელის მეორე საფეხურის სრული კურსი. პატრიის წევრობის კანდიდატმა პოლიმატიდმა, გარდა ვოროშილოვისებური მსროლელისა, საუკეთესოდ ჩააბარა გამოცდა საჰაერო-ქიმიური თავდაცვის, „მშთ“ და მოტოციკლის მართვის ნორმებზე. ამ ამხანაგებს არ ჩამორჩებიან არც გ. არობელიძე, პ. ბოსდარენკო, ლ. კლიუჩევა და სხვები.

უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა აქვთ დაკისრებული თავდაცვა-ავიაქიმის პირველადს ორგანიზაციებს. ისინი მოვალენი არიან ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენტებს და მოსწავლეებს სამხედრო ცოდნის შეძენისა და სამხედრო ტექნიკის დაუფლების საქმეში.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე თავდაცვის სახალხო კომისარმა ამხ. **ვოროშილოვმა** აღნიშნა უდიდესი მნიშვნელობა თავდაცვა-ავიაქიმისა, რომელიც მოწოდებულია „აწარმოოს მუშათა, მოსამსახურეთა, ინტელიგენციის, მოსწავლეთა და კოლმეურნეთა მომზადება სახელმწიფოს თავდაცვის ინტერესებისათვის. ამავე დროს თავდაცვა-ავიაქიმი ეხმარება წითელ არმიას სხვადასხვა სამხედრო სპეციალობის კადრების წინასწარი გამოწვრთვნის „შავი“ მუშაობის საქმეში“.

ამ უდიდესი საქმის შესრულება მოითხოვს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობის ჭეშმარიტად გარდაქმნას. მთელი მათი პრაქტიკული მუშაობა მიზნად უნდა ისახავდეს პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას და ამხ. **ვოროშილოვის** მიერ ამ ორგანიზაციის წინაშე დასმული ამოცანების განხორციელებას. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ თავდაცვა-ავიაქიმის მთელი რიგი პირველადი ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ ამოძრავებულან, ახალ ვითარებასთან არ შეუხამებიათ თავიანთი მუშაობა. ეს გარემოება იმის შედეგიც არის, რომ თავდაცვა-ავიაქიმის არც რაიონული და არც თვით ცენტრალური საბჭო საკმაოდ არ ხელმძღვანელობენ პირველადს ორგანიზაციებს.

ორჯონიკიძის (ხარაგოულის) თავდაცვა - ავიაქიმის რაისაბჭოს თავმჯდომარე ამხ. თ. ტაბატაძე თავდაცვითი მუშაობის გაშლაზე ნაკლებად ფიქრობს. რაისაბჭოს მოშაკები იშვიათად თუ მიაკითხავენ პირველადს ორგანიზაციებს და ისიც მაშინ, როდესაც რაიმე ცნობები დასჭირდებათ ზემდგომ ორგანოებში წარსადგენად. მსგავსი მდგომარეობაა ბორჯომის, აბაშის, სამტრედიის და თავდაცვა-ავიაქიმის მთელ რიგ სხვა რაიონულ ორგანიზაციებში.

აღნიშნული გარემოება და ყველა ის წერილი, რომლებიც „კომუნისტის“ რედაქციას ადგილებიდან მოსდის, ადასტურებს იმას, რომ საქართველოს თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელობა ადგილებზე მოისუსტებს. თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს აპარატი ჯერ კიდევ მოუქნელად მუშაობს, თავი ვერ დაუღწევია კაბინეტურობისათვის. სუსტი კავშირი აქვს დამყარებული რაისაბჭოებთან.

თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურმა საბჭომ მუშაობა უნდა გარდაქმნას. ის უნდა დაეხმაროს რაიონულ საბჭოებს და თავდაცვა-ავიაქიმის პირველადს ორგანიზაციებს მასობრივი თავდაცვითი მუშაობის ფართოდ გაშლისა და განმტკიცების საქმეში.

ლენინურ-სტალინურ კომკავშირს უდიდესი როლი ეკუთვნის ამ საქმეში. ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტებმა უნდა გვიჩვენონ სამხედრო ცოდნის დაუფლების ბოლშევიკური ნიმუშები. კომკავშირი მოვალეა თავდაცვა-ავიაქიმის საშუალებით აწარმოოს სამხედრო პროპაგანდა და მოაწყოს ახალგაზრდათა ფართო მასების ჩაბმა სამხედრო სწავლებაში. კომკავშირის პროგრამაში სწერია: „საკ. ალკკ მთელ ახალგაზრდა თაობას ზრდის საბჭოთა პატრიოტიზმის, სსრ კავშირისადმი — თავისი სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების და თავდადებული სიყვარულის სულისკვეთებით... აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საზოგადოებრივი თავდაცვითი ორგანიზაციების მუშაობაში“... ეს ამოცანები კომკავშირმა საფუძვლად უნდა დაუდოს მთელ თავის საქმიანობას თავდაცვითი მუშაობის საქმეში.

არანაკლები ამოცანები აკისრიათ ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების საქმეში პროფესიულ კავშირებს. პროფორგანიზაციების მოვალეობაა განუხრელად განახორციელონ პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმის გადაწყვეტილება ქვეყნის დაცვისათვის მუშათა და მოსამსახურეთა მოსამზადებლად. პროფკავშირის თვითეული წევრი უნდა დაეუფლოს თავდაცვის ერთერთ საშუალებას — აი ამოცანა, რომელმაც გამოხატულება უნდა ჰპოვოს მთელი პროფორგანიზაციების მუშაობაში.

საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ჩვენი ქვეყნის თვითეული მშრომელი დაუფლებული იყოს, როგორც მინიმუმი, თავდაცვის ერთერთ საშუალებას (სროლა, ხელყუმბარის ტყორცნა, ცხენოსნობა, ხიშტით კვეთება და სხვ.). უპირველეს ყოვლისა ამ საქმის ინიციატორები უნდა გახდნენ პარტიის წევრები და პარტიის წევრობის კანდიდატები. მათ უნდა უჩვენონ მაგალითი კომკავშირელებსა და არაპარტიულ ბოლშევიკებს.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ საწარმო-დაწესებულებებში და კოლმეურნეობებში მასობრივ თავდაცვითს მუშაობას, მასში ათასობით მუშების, ინტელიგენტებისა და კოლმეურნეების ჩაბმას.

საბჭოთა კონტროლის კომისიაში

სამუშაო დროის გამფლანგველნი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა საბჭოთა კონტროლის კომისიამ პროფესიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარომადგენლებთან ერთად ამ დღეებში შეამოწმა, თუ როგორ იბრძვიან საწარმოებსა და დაწესებულებებში შრომის დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ. გამოირკვა, რომ საწარმოებში შრომის დისციპლინა შესამჩნევად გაუმჯობესდა, მაგრამ მთელ რიგ სახალხო კომისარიატებში, მთავარ სამმართველოებსა და მათს საქვეუწყებო დაწესებულებებში შრომის დისციპლინა კვლავ არადამაკმაყოფილებელია.

ტაბელებსა და ჩაწერას სამუშაოზე გამოცხადების სარეგისტრაციო რვეულებში დაუდევრად, ფორმალურად აწარმოებენ. სსრ კავშირის მიწსახკომის მარცვლეულის მთავარ სამმართველოს აგრონომმა შაპოვალოვმა 10 წუთით დაიგვიანა სამუშაოზე, მაგრამ მას მისცეს რვეული, სადაც მან ხელი მოაწერა, როგორც თავის დროზე მოსულმა. სსრ კავშირის მიწსახკომის მთავარ სამმართველოებსა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში სატაბელო დაფები მთელი დღე ღიაა, — შეგიძლია აიღო და თან წაიღო ყოველი ნომერი. კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის სამდივნოსა და კანცელარიაში თვითეული თანამშრომელი თვითონ აღნიშნავს ჟურნალში მოსვლისა და წასვლის დროს.

არავინ ადევნებს თვალყურს თანამშრომელთა სამუშაო დროს. მაგალითად, კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის სადისპეტჩერო დარგის უფროსი ორლოვი 16 მაისს სამუშაო დროს 20 წუთს ბაასობდა ვესტიბიულში, რის შემდეგაც საპარიკმახეროში წავიდა.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში, ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და ცენტროსოიუზში არ აღრიცხავენ აგენტების, ინსპექტორებისა და სხვა იმ პირთა მუშაობის დროს, რომელნიც სამუშაოდ თავისი დაწესებულების გარეთ მიდიან.

რსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის „როსტრიკოტაჟსნაბსბიტში“ ნორმალურად ითვლება საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულება სამსახურის საათებში.

მივლინებულნი ცენტრალურ დაწესებულებებში რომელნიც თვეობით უსაქმოდ ცხოვრობენ მოსკოვში, უკონტროლოდ არიან.

ყურადღებას იპყრობს სრული უმოქმედობა პროფესიული ორგანიზაციებისა, რომლებმაც თავიანთი მონაწილეობა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლაში მარტო კრებების მოწვევით განსაზღვრეს.

(საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **მახმუდ მამედ ოღლი** ამჟამად მ. გ. წითელ არმიის ერთერთ სატანკო ნაწილში მსახურობს. იგი სამხედრო და პოლიტიკური მომზადების ფრაადოსანია.

საკდესის ფოტოქრონიკა

მახოტკინის თვითმფრინავი არხანგელსკში

არხანგელსკი, 21 მაისი (საკდესი). არქტიკაში თეთრი ღამეები დაიწყო, რითაც ისარგებლა ორდენოსანმა მფრინავმა ამხ. მახოტკინმა და გუშინ საღამოს დასტოვა ამდერმი. აქ თვითმფრინავს თხილამურების ნაცვლად თვლები გაუკეთეს.

დღეს განთიადისას, 1 საათსა და 08 წუთზე, თვითმფრინავი „სსსრ ნ-214“ დაეშვა არხანგელსკის რაიონში, სადაც ჩაიყვანა სამი მგზავრი და ჩაიტანა ფოსტა.

ამხ. კოკინაკი და გორდიენკო მოსკოვს გაემგზავრნენ

პარიზი, 21 მაისი (საკდესი). ამხ. კოკინაკი და გორდიენკო დღეს 19 საათსა და 15 წუთზე პარიზიდან გაემგზავრნენ მოსკოვს. პარიზის ჩრდილოეთის ვაგზალზე ისინი გააცილეს პარიზის მთელმა საბჭოთა კოლონიამ სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. სურიცის მეთაურობით და სრულუფლებიანი წარმომადგენლობამ.

„საბჭოთა პავილიონი ასახავს სსრ კავშირის ხალხთა ძლიერებას“

ნიუ-იორკი, 21 მაისი (საკდესი). ნიუ-იორკის მსოფლიო გამოფენის საბჭოთა პავილიონი კვლავ იპყრობს დამთვალიერებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ნიუ-იორკის მუნიციპალიტეტის წევრმა სტენლი ისააქსმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობას შეუძლია იამაყოს თავისი პავილიონით, რომლის არქიტექტურა საუცხოოა.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პლენუმი

გუშინ საღამოს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახელობის რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა რაიონში მასობრივ - თავდაცვითი მუშაობის მდგომარეობა.

აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. ა. გაბუნია, რომელიც თავის მოხსენებაში ფართოდ შეჩერდა რაიონში თავდაცვითი მუშაობის მდგომარეობაზე და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მომავალ ამოცანებზე.

ამხ. გაბუნიას მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. **ჩაგუნავა** (ამიერ-კავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების თბილისის განყოფილების უფროსი), **წამალაიძე** (სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხნის პარტბიუროს მდივანი), **ალანია** (რაიონული ჯანმრთელობის განყოფილების გამგე), **გელაშვილი** (ალკკ რაიკომის მდივანი), **მშვენიერაძე** (ბერიას სახელობის რკინიგზის ტექნიკუმის დირექტორი), **იმნაიშვილი** (რაიონული სამხედრო კომისარი), **დოქსოპულო** (კიროვის სახელობის ქარხნის პარტბიუროს მდივანი), **ქირია** (წითელი არმიის № ნაწილი), **მოსიძე** (26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტბიუროს მდივანი), **სამხარაძე** (თავდაცვა - ავიაქიმის რაისაბჭოს თავმჯდომარე), **კლიშჩენკო** (პარტრაიკომი), **ბონდარევი** (საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამხედრო განყოფილება) და **ჩახუნაშვილი** (პარტიის რაიკომის სამხედრო განყოფილების გამგე).

მოსმენილი მოხსენების გარშემო პლენუმმა მიიღო სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებშიაც დასახულია კონკრეტული ამოცანები XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა და დიდი სტალინის მითითებათა საფუძველზე თავდაცვითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

დასასრულ, განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხები. პლენუმმა გაანთავისუფლა ამხ. ვ. სალაძე რაიკომის მიუროს წევრობის კანდიდატობის მოვალეობისაგან, მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო, და მიუროს წევრობის კანდიდატად აირჩია ამხ. ე. კოკლავაშვილი. პლენუმმა გამოიყვანა სპირინა რაიკომის პლენუმის წევრობის კანდიდატთა შემადგენლობიდან.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჩერქეზიამ.

უკანასკნელი ცნობები

ღიღი ხანძარი ტოკიოში

ტოკიო, 22 მაისი (საკდესი). 21 მაისს ომორიში (ტოკიოს რაიონი) იფეთქა დიდმა ხანძარმა, რომელმაც გაანადგურა ლითონის შენადნობთა ქარხანა და 336 საცხოვრებელი სახლი. ხანძარმა მრავალი ადამიანი იმსხვერპლა. 1300 კაცი უსახლკაროდ დარჩა.

22 მაისს ტოკიოში, სიბის რაიონში, იფეთქა მეორე ხანძარმა, რომელმაც გაანადგურა 76 საცხოვრებელი სახლი, თამბაქოს მონოპოლიის ერთი ფაბრიკა და რამდენიმე მეტალურგიული და მანქანათმშენებელი ქარხანა. ზარალი 50 მილიონ იენს აღემატება.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან ევროპაში გადაფრენა

პარიზი, 22 მაისი (საკდესი). ჰავასის სააგენტოს ცნობით, ამერიკის მფრინავმა ნავმა „იანკი კლიპერმა“, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან ევროპაში მიფრინავს, გუშინ 19 საათსა და 49 წუთზე ლისაბონს მიაღწია. დღეს, დილით, „იანკი კლიპერი“ ლისაბონიდან მარსელს გაფრინდება.

ზღვისპირა მხარეში გადასახლებული კოლმეურნეები

ვოროშილოვი, 21 მაისი (საკდესი) გუშინ უსურიისკის ოლქში ჩამოვიდა **კურსკის** ოლქიდან გადმოსახლებულ კოლმეურნეთა პირველი ჯგუფი — 111 ოჯახი (522 კაცი).

ლუჩკის სადგურზე მატარებლის შესახვედრად თავი მოიყარა რამდენიმე ასეულმა კოლმეურნემ, მტს-ის მუშებმა და მოსამსახურეებმა. ოცზე მეტი მორთული საბარგო მანქანა ჩამწკრივდა გადმოსახლებულთა მოლოდინში. გიახლნა სასადილო, სადაც გადმოსახლებულთათვის დაამზადეს გემრიელი სადილი, გაიხსნა აგრეთვე ფარდულები, სამედიცინო პუნქტი, საპარიკმახეროო და აბანო.

სადგურზე მიტინგი გაიმართა. მიმსალმებების საპასუხოდ გადმოსახლებულმა ამხ. კოსიკინმა სთქვა:

— სუჯანის რაიონის ყველა გადმოსახლებული კოლმეურნის სახელით სიტყვას გაძლევთ, რომ ჩვენ არა მარტო ჩინებულად ვიმუშავებთ კოლმეურნეობებში, არამედ თქვენთან ერთად შევქმნით მძლავრ მუშტს, რომელიც კბილებს ჩაუმტვრევს ყველას, ვინც შეეცდება ხელი შეახოს ჩვენს მშობლიურ ზღვისპირა მხარეს.

მიტინგის შემდეგ გადმოსახლებულნი კოლმეურნეობებში გაეგზავნენ. ამეამად მთელს ზღვისპირა მხარეში სწარმოებს მზადება ახალ გადმოსახლებულთა შესახვედრად. ვადმოსახლებულთა სამი ჯგუფი უკვე გზაშია.

ვეფხვეს კუნძულის ჩაძირვა ოკეანეში

აკადემიკოსები ა. ნ. ზავარიცკი და ვ. ა. ობრუჩევი ჩაძირვის მიზეზთა შესახებ

როგორც უკვე გაზეთებში მოთავსებული ცნობებიდან ვიცით, კუნძულმა ვეფხვემ, რომელიც ფილიპინის არქიპელაგის შემადგენლობაში შედიოდა, უეცრივ იწყო სწრაფად ჩაძირვა წყნარ ოკეანეში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ა. ნ. ზავარიცკიმ ამის შესახებ შემდეგი გვაცნობა:

— გეოლოგიურმა მეცნიერებამ იცის ხმელეთის ოკეანეში ჩაშვების შემთხვევები. 1755 წელს ლისაბონის განმანადგურებელი მიწისძვრის დროს ქალ. ლისაბონის სანაპირო სწრაფად ჩაიძირა წყალში და თან წარიტაცა ადამიანთა დიდი რაოდენობა, რომელიც ხსნას ეძებდა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ხმელეთი ზოგან 200 მეტრის სიღრმით ჩაძირა.

ასეთი შემთხვევები იყო ინდოეთში, იტალიაში, იაპონიაში, რაც მიწისძვრებთან დაკავშირებით მოხდა. მაგრამ ნიადაგის დაწევა ხდება ვულკანურ მოქმედებასთან დაკავშირებითაც.

o

თავისი აზრი ოკეანეში ვერდეს კუნძულის უეცარი და სწრაფი ჩაძირვის ხასიათის შესახებ საკდესის თანამშრომელს გააცნო აკადემიკოსმა ვ. ა. ობრუჩევმა. მან შემდეგი განაცხადა:

— ფილიპინის კუნძულების მახლობლად წყნარ ოკეანეში მეტად დიდი ჩაღრმავებული ადგილია. ამიტომ შესაძლებელია, რომ ვერდეს კუნძულის ჩაძირვას კავშირი ჰქონდეს წყალქვეშა მეწყერთან. (საკდესი).

ტკანეკრისგ ზელენკოვას და ავიამოდელისგ ჩებანოვის რეკორდები

ჭლანერისტმა ევდოკია ზელენკოვამ მგზავრის კ. სამარინას თანხლებით 16 მაისს კოკტებელში სარეკორდო გაფრენა მოახდინა ორადგილიანი პლანერით. მათ ჰაერში დაჰყვეს 12 საათსა და 30 წუთს.

სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო-სასპორტო კომისიამ განიხილა გაფრენის მასალები და დაამტკიცა იგი, როგორც ფრენის ხანგრძლივობის ქალთა სრულიად-საკავშირო რეკორდი მეორე კატეგორიის „დ“ კლასით (მრავალადგილიანი პლანერები). ამხ. ზელენკოვას სარეკორდო გაფრენის მასალები იგზავნება საერთაშორისო საავიაციო ფედერაციაში (ფაი), რათა დადასტურებულ იქნას იგი როგორც საერთაშორისო რეკორდი. დღემდე საერთაშორისო საავიაციო ფედერაციას ჯერ კიდევ არ აღურიცხავს მრავალადგილიანი პლანერებით ხანგრძლივი ფრენის ქალთა არცერთი საერთაშორისო რეკორდი.

ამავე დროს სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო - სასპორტო კომისიამ სრულიად-საკავშირო ხანგრძლივი ფრენის რეკორდად პლანერთა ფუზელაჟის მოდელების კლასით დაამტკიცა ავიამოდელისტის ა. ჩებანოვის მიერ მიღწეული ფრენის შედეგი. ამხ. ჩებანოვის კონსტრუქციის პლანერის ფუზელაჟის მოდელმა 12 მაისს ტაშკენტში ჰაერში დაჰყო 1 საათს, 01 წუთსა და 15 წამს. (საკდესი).

ახალი სამადნო ელექტრომავალი

მოსკოვის კიროვის სახელობის ქარხანა „დინამოს“ კონსტრუქტორთა ჯგუფი ამთავრებს ახალი ელექტრომავლის სამუშაო ნახაზების დამუშავებას. ეს ელექტრომავალი განკუთვნილია ქვანახშირის შახტებში სამუშაოდ.

იმ სამადნო ელექტრომავლებისაგან განსხვავებით, რომლებსაც ახლა უშვებს ქარხანა, ახალი ელექტრომავალი საგრძნობლად უფრო ნაკლები ზომისაა და ამიტომ შეუძლია უშუალოდ მიადგეს სანგრევს. აქედან ის ვაგონეტებს მიაწვდის მთავარ შტრეკებს, და ამნაირად მოხდება ქვანახშირის გაზიდვის მექანიზაცია. ელექტრომავალი შეასრულებს 8-9 ცხენის სამუშაოს.

საცდელ ნიმუშებს გამოუშვებენ წელსვე. (საკდესი).



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის აღსანიშნავად

შრომითი ენთუზიაზმის ახალი ზაღლა

სოციალიზმის ქვეყნის პარლამენტის მესამე სესიის გახსნის დღეს სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონ-სარემონტო ქარხნის ხუთიათასიანი კოლექტივი უსაზღვროდ დიდი საწარმოო ენტუზიაზმით ხვდება. ყველა საამქრო და ბრიგადა ცდილობს ახალი საჩუქარი მოუმზადოს ჩვენს უძლეველ სამშობლოს.

ქარხანაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საქვაბე საამქროს მღუნავთა ბრიგადა, რომელსაც ხელმოხვეჭილი სტახანოველი, თავისი საქმის შეუდარებელი ოსტატი ამხ. მ. გეწაძე ხელმძღვანელობს. ეს ბრიგადა ყოველდღიურ დავალებას 350-400 პროცენტით ასრულებს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გახსნის აღსანიშნავად კი ამხ. გეწაძის ბრიგადამ 21 მაისს დაამზადა ორთქლმავალის ორი უკანა კედელი და ორი საბუფერო ძელი, რითაც დღიური დავალება 500 პროცენტით შეასრულა.

ამხ. გეწაძე ემზადება, რომ მისმა ბრიგადამ სესიის გახსნის დღეს—25 მაისს დაამყაროს ახალი რეკორდი— გამოიმუშაოს გეგმის 2.400 პროცენტი.

— ბოლშევიკთა XVIII ყრილობის გახსნის დღეს ჩემმა ბრიგადამ დავალება 2.384 პროცენტით შეასრულა, ჩვენი ახალი რეკორდი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გახსნის დღისათვის იქნება გეგმის 2.400 პროცენტით შესრულება, — ამაყად ამბობს ამხ. გეწაძე.

შესანიშნავ მაჩვენებლებს იძლევიან ამწყობ საამქროშიც. ამხ. ვაზაგაშვილის, გოძიაშვილის, სტეფანოვის, საინოვის, ცვეტაძის, მამუჩაშვილის, კაზაკოვის და სხვ. ბრიგადები დავალებას 300-400 პროცენტით ასრულებენ. 20 და 21 მაისს აღნიშნული ბრიგადების გეგმის შესრულების მაჩვენებელი 300 პროცენტზე ქვევით არ ჩამოსულა. ისინი სტახანოვურ სიტყვას იძლევიან — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გახსნის დღისათვის კიდევ უფრო აამაღლონ საწარმოო მაჩვენებლები. ეს პირობა განაღდებული იქნება, რადგან მათთვის ვალდებულების აღება მის შესრულებას ნიშნავს.

ახალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის

უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მოწვევის დღეს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა ახალი საწარმოო ვალდებულებებით ხვდება.

ფაბრიკის ინჟინრებმა: ამხ. ს. ალექსიშვილმა, ნ. ბახტაძემ, გ. კარსელმა, ვ. თევდორაძემ, დიდიმოვამ და სხვებმა ვალდებულება იკისრეს, რათა საქსოვ საამქროს ათ კომპლექტზე, რომლებშიც 500-მდე საქსოვი მანქანა შედის, ნაწარმის თვითღირებულება შეამცირონ 2 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 3 პროცენტით, პირველი ხარისხის პროდუქცია — 5 პროცენტით გეგმის გადამეტებით.

ამ ვალდებულებათა ცხოვრებაში მტკიცედ გატარებისათვის მოწვეულ იქნა ფაბრიკის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა გაფართოებული თათბირი, რომელმაც განიხილა გეგმების შესრულების საკითხები.

ფაბრიკის ხელმძღვანელობამ იკისრა მესამე სესიის მიმდინარეობის პერიოდში აღებულ ვალდებულებათა შესრულების ყოველდღიური შემოწმება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ორი დღის განმავლობაში 19-დან 21 მაისამდე, გეგმების შესრულებაში ჩამორჩენილ 80 მუშიდან 30 ამხანაგი უკვე გამოვიდა გარღვევიდან და საუკეთესო საწარმოო ნიმუშებს იძლევა.

ხელოვნების ოსტატები და მაყურებელნი ოპერა „აიჩურეკის“ შესახებ

პირველი ყირგიზული ოპერის „აიჩურეკის“ საზოგადოებრივმა განსინჯვამ ცოცხალი ინტერესი გამოიწვია დედაქალაქის ხელოვნების ოსტატთა და ყველა მაყურებელთა შორის. მაყურებლებმა არაერთხელ დააჯილდოვეს მხურვალე ტაშით ნიჭიერი არტისტები და სპექტაკლის ავტორები.

— სპექტაკლი „აიჩურეკი“, — ამბობს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ქალი ა. ვ. ნეჟდანოვა, — ჭეშმარიტად ატკბობს და ღრმა სიხარულს ჰგვრის მაყურებელს. მან ჩვენს წინაშე გადაშალა ერთერთი შესანიშნავი ფეოდალური ყირგიზული ხალხური ეპოსისა, რომელიც გვაღელვებს თავისი სილამაზითა და კეთილშობილებით. ყირგიზმა ხალხმა, რომელსაც ამ უკანასკნელ დრომდე თავისი მუსიკალური თეატრი არ გააჩნდა, ახლა გაგვახარა ნამდვილი ხალხური ოპერით, რომელსაც განსაკუთრებული მუსიკალობა, სიახლე და უშუალობა ახასიათებს.

— სპექტაკლ „აიჩურეკზე“, — ამბობს საბჭოთა კავშირის ვმრი ვ ს. გრიზოდუბოვა, — მოსკოველები შეხვდნენ შესანიშნავ არტისტებს, რომელთა თამაშიც ჩვენ გვიტაცებს. საუცხოო ცეკვას მომხიბლველი პლასტიური მოძრაობა ახასიათებს, დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს დადგმის მხატვრული გაფორმება.

რსფსრ დამსახურებული არტისტი ქალი ირმა იაუზზემი აღნიშნავს, რომ ოპერის წარმატება,

პარტიული ცხოვრება

შერსტიუკის საქმე

(„პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

1938 წლის აგვისტო. ორიოლის ოლქის ბრიანსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „კოკინო“. საბჭოთა მეურნეობის პოლიტგანყოფილების უფროსის ამხ. შერსტიუკის კაბინეტში ისმის ტელეფონის ზარი. რეკს პარტიის ბრიანსკის რაიკომის მდივანი ამხ. ეპიშკინი. იგი საბჭოთა მეურნეობის მთელ პარტორგანიზაციას წინადადებას აძლევს წამოვიდეს რაიკომის ბიუროს სხდომაზე.

— რომელი საქმის გამო?

— ჩამოხვალ — გაიგებ.

დილით საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაცია — ყველა რვა კომუნისტი — გამოცხადდა ბიუროს სხდომაზე. არავინ იცოდა, რა საქმისათვის იყვნენ ისინი გამოძახებული. სხდომა გახსნა რაიკომის მდივანმა.

ეპიშკინი (მიმართავს საბჭოთა მეურნეობის დირექტორს): აბა, ალდუშინ, გვიამბე, რა მდგომარეობაა საბჭოთა მეურნეობაში.

ალდუშინი (ცოტა დაბნეულად): მოსავლის აღება გაჩაღებულია, საქმაოდ კარგად მიმდინარეობს... ვერ არის კარგად მიზარდეულის საქმე— გოჭების დიდი სიკვდილიანობაა... ამჟამად მუშაობს ექიმებისა და პროფესორების ჯგუფი, რომელიც არკვევს მიზეზებს...

ეპიშკინი (შეაწყვეტინებს): კმარა, ყველაფერი ნათელია. აბა, შერსტიუკ, შენ რას იტყვი?

შერსტიუკი: თქვენ რა გაინტერესებთ?

ეპიშკინი: როგორ ებრძვით სიკვდილიანობას?

შერსტიუკი: მობილიზაციას ვუკეთებთ მუშათა ყურადღებას, ყველა ზომას ვიღებთ იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მოზარდეულის დაავადება. როგორც კი ექიმებისა და პროფესორების კომისია გამოარკვევს...

ეპიშკინი: კმარა, კმარა, ყველაფერი გასაგებია. შენ (მიმართავს პარტორგ ტატარსკის) რაღას იტყვი?

ტატარსკი: ყველა ჩვენი ძალები იქითკენ არის მიმართული, რომ თავიდან ავიცილოთ გოჭების დაავადების მიზეზები. ზომები, რომლებსაც ჩვენ ვიღებთ...

ეპიშკინი: კარგი. ყველაფერი ნათელია.

საფონოვი (რაიკომის ბიუროს წევრი): საკითხი სავსებით ნათელია. შერსტიუკი საბჭოთა მეურნეობაში ატარებდა მავნებლურ მუშაობას. მე მაქვს საკმაო მასალა (საფონოვი ხელს ადებს პაპკას, რომელშიც რაღაც ქაღალდებია), რომელიც მოწმობს, რომ იგი საბჭოთა მეურნეობას ანაგვიანებდა უცხო ადამიანებით, ატარებდა მემარჯვენე-ოპორტუნისტულ პრაქტიკას. წინადადება შემომაქვს შერსტიუკი გაირიცხოს პარტიიდან.

ეპიშკინი: სწორია! გთხოვთ ყველას კორიდორში გახვიდეთ.

საბჭოთა მეურნეობის კომუნისტები, გაოცებულნი, გადიან რაიკომის მდივნის კაბინეტიდან. ორი-სამი წუთის შემდეგ მათ კვლავ იწვევენ ბიუროს სხდომაზე. ეპიშკინი კითხულობს გადაწყვეტილების წინასწარ მომზადებულ პროექტს. აქ არის მასობრივი მუშაობის ჩაშლაც, მემარჯვენე პრაქტიკაც, უცხო ადამიანებით საბჭოთა მეურნეობის დანაგვიანებაც, მავნებლობაც, ისიც, რომ შერსტიუკი „სიგნალებს არ აძლევდა რაიკომს“, და მრავალი სხვა. მოკლედ, შერსტიუკი გაირიცხოს პარტიიდან, ტატარსკის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით, ალდუშინს გამოეცხადოს მარტო საყვედური, პარტორგანიზაციის ყველა წევრს... მიეთითოს და „მათ ფართოდ დაამუშაონ ეს გადაწყვეტილება“.

მალე რაიკომის ბიუროს წევრი მაკაროვი ჩავიდა საბჭოთა მეურნეობაში „გადაწყვეტილების ფართოდ დამუშავების“ მიზნით. შედეგი სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. საბჭოთა მეურნეობის კომუნისტები მკვეთრად გამოეიდნენ რაიკომის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, სთვლიდნენ მას დაუსაბუთებლად, არასამართლიანად, ისეთად, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის მითითებებს, ისეთად, რომელიც ეწინააღმდეგება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებას, რომელიც მოითხოვს პარტიის წევრებისადმი ყურადღებიან და დაფიქრებულ მიდგომას. მაკაროვმა გააკეთა მანევრი —კრება გადაიდო.

კრება კვლავ შესდგა, როდესაც შერსტიუკი უკვე დაპატიმრებული იყო. რაიკომის მდივანი პეტროვი, რომელიც კრებას ესწრებოდა, აფრიალებდა ჰაერში რაღაც ქაღალდს და ყვიროდა:

— ჩვენთვის ცხადია, რომ შერსტიუკი აქ მარტო არ თარეშობდა. მისი თანამონაწილენი მხილებული იქნებიან...

რსფსრ საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს წარმომადგენელმა ვასილიევამ კი, რომელიც საბჭოთა მეურნეობაში იმყოფებოდა, გაავრცელა ხმა, ვითომდა შერსტიუკი ჯაშუში აღმოჩნდა.

საბჭოთა მეურნეობის კომუნისტები, რომლებმაც მშვენივრად იცოდნენ ნამდვილი მდგომარეობა მეურნეობაში, ამჯერადაც, მიუხედავად ზეგავლენისა რაიკომის წარმომადგენლის მხრივ, არ დაადგნენ საქმეთა ვითარების ყალბი შეფასების გზას, ისინი აღნიშნავდნენ, რომ ასე არ შეიძლება ორგანიზაციის აღზრდა, რომ ასე არ შეიძლება მისი მობილიზება ნამდვილი სიძნელეების დასაძლევად და მტრებთან საბრძოლველად.

ბრიანსკის რაიკომის ხელმძღვანელებმა იმისათვის, რომ დაემტკიცებინათ თავიანთი სიმართლე, საბჭოთა მეურნეობაში გაგზავნეს სპეციალური კომისია იმ მიზნით, რომ შეეგროვებინათ მასალა შერსტიუკის წინააღმდეგ და ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც გამოდიოდა რაიკომის გადაწყვეტილების კრიტიკით.

რაიკომის ბიუროს სხდომაზე აშკარად გაუსწორდნენ საბჭოთა მეურნეობის პარტორგს ამხ. ტატარსკის, რომელიც მტკიცედ იდგა პარტიულ პოზიციაზე, მკვეთრად ლაპარაკობდა იმ დაუშვებელი მეთოდების წინააღმდეგ, რომლებსაც იყენებდა რაიკომის ზოგიერთი ხელმძღვანელი. ტატარსკი გარიცხეს პარტიიდან. საბჭოთა მეურნეობის პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწეს კომკავშირის ხაზით ამხ. პოლიაკოვს ურჩობისათვის, იმისათვის, რომ მან რაიკომის ხელმძღვანელთა მიერ დაკავებული პოზიციის საწინააღმდეგოდ გაბედა იმ თვალსაზრისის დაცვა, რომელსაც სწორად სთვლიდა, გამოეცხადა სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით.

შერსტიუკი 7 თვის განმავლობაში ამყოფეს ციხეში. შემდეგ ბრალდებათა დაუსაბუთებლობის და დაუმტკიცებლობის გამო გაანთავისუფლეს პატიმრობიდან. ბრალდებათა ყველა პუნქტი, რომელიც ჩაწერილი იყო რაიკომის გადაწყვეტილებაში, სიმართლეს მოკლებული, ცრუ აღმოჩნდა. მაგრამ შერსტიუკი ერთბაშად როდი გაამართლეს. როდესაც მას ჩამოშორდა პოლიტიკური ბრალდებანი, დაწყეს მისი სხვადასხვა „დანაშაულის“ ძებნა. აქ აღმოაჩინეს „ზომების მიუღებლობაც...“, „უხეშობაც“, „კრიტიკის ჩახშობაც“, და კიდევ მთელი რიგი სხვა „ცოდვები“. ბრიანსკის რაიონის პროკურორმა ამხ. ბოჟოვმა გულმოდგინეთ გაარჩია შერსტიუკის საქმე. მან ვერ ნახა საფუძველი იმისათვის, რომ შერსტიუკი მიეცა პასუხისგებაში, და შესწყვიტა საქმე.

შერსტიუკის საქმე არქივს გადაეცა. მაგრამ ამით მისი დამთავრება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. პარტიის ორიოლის საოლქო კომიტეტმა უნდა სთქვას თავისი სიტყვა ბრიანსკის რაიონის ხელმძღვანელების ანტიპარტიულ მოქმედებათა გამო. დავიწყებული არ უნდა იქნას დირექტორი ალდუშინიც, რომელიც ჯერ გამოვიდა რაიონის ხელმძღვანელთა ანტიპარტიული საქციელის წინააღმდეგ და იცავდა შერსტიუკს, ხოლო მეორე შემთხვევაში (სწორაფად „შეიცვალა ორიენტაცია“) ყველანაირად აშავებდა მას.

უნდა ვიფიქროთ, რომ დავიწყებული არ იქნება ვასილიევაც რსფსრ საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის პოლიტგანყოფილებიდან, რომელიც ასე ადვილად და უპასუხისმგებლოდ სთხზავს ჭორებს ვითომდა ჯაშუშების შესახებ.

○

...მთელი საქმე კი იქიდან დაიწყო, რომ შერსტიუკმა რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე გააკრიტიკა რაიკომის ხელმძღვანელები იმისათვის, რომ ისინი არ მიდიან საბჭოთა მეურნეობაში, არ ეცნობიან მის საჭიროებებს. შერსტიუკი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ საბჭოთა მეურნეობაში საჭიროა დიდი სანიტარულ - პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება.

გამოვიდა რა საბოლოო სიტყვით, ეპიშკინმა სთქვა:

— კარგი, ჩვენ ჩამოვალთ საბჭოთა მეურნეობაში, ჩვენ გიჩვენებთ პროფილაქტიკას...

უნტერ-პრაშიბეევებმა პარტიული ბილეთებით ჯიბეში ჩაიდინეს დანაშაული და ცილი დასწამეს პატიოსან კომუნისტებს მხოლოდ იმისათვის, რომ დაეცვათ „მუნდირის ღირსება“. მაგრამ პარტია სწორედ იმით არის ძლიერი, რომ ამხელს ყველა და ყოველგვარ ცილისმწამებლებს, მზის სინათლეზე გამოჰყავს ისინი, გვიჩვენებს მათს ნამდვილ სახეს.

ა. კორნბლიუმი

ქ. ბრიანსკი.

როგორ დავიწყოთ მუშაობა

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში ერთი თვის წინათ ჩამოყალიბდა სამხედრო განყოფილება.

მართალია, ჩვენ გვქონდა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გარკვეული მითითება სამხედრო განყოფილებათა მოვალეობის შესახებ, მაგრამ ჩვენს წინაშე წამოიჭრა საკითხი: რით დავიწყოთ კონკრეტულად მუშაობა? პირველყოვლისა საჭიროდ ვცანით მიმდინარე ამოცანებთან დაკავშირებით სამუშაო გეგმების შედგენა.

გეგმაში შევიტანეთ რამდენიმე ძირითადი საკითხი, მათ შორის საკითხები: წითელ არმიაში მორიგ გაწვევისათვის მზადების, აეროკლუბის მუშაობის, აგრეთვე 26 კომისრის სახ. რაიონის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს და ორჯონიკიძის რაიონის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის რაისაბჭოს მუშაობის შემოწმების შესახებ.

წითელ არმიაში მორიგი გაწვევის მომზადებულად შეხვედრის მიზნით 9 მაისს საქ. აღკკ თბილისის კომიტეტთან და თბილისის სამხედრო კომისარიატთან ერთად მოვაწყეთ წვევამდელ სტახანოველთა კრება, რომელშიაც მონაწილეობდნენ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დელეგატები და ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭო.

შეკრებაზე მოხსენებით გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დელეგატი, დივიზიის კომისარი ამხ. დორონინი.

სამხედრო განყოფილებამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის რაიონული კომიტეტების მუშაობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას, რადგანაც აღნიშნული კომიტეტები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ორჯონიკიძის რაიონის კომიტეტს თავის მუშაობაში მრავალი ნაკლი აქვს. სანიტარული საგუშაგოები და სამედიცინო რაზმები ცუდად მუშაობენ, ხშირად იფუშება მათი მეცადინეობა, მათ სამუშაო გეგმაც კი არა აქვთ. 1939 წელს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის რაიკომს ერთხელაც არ მოუწვევია პრეზიდიუმის სხდომა. ამ ნაკლოვანების აღმოფხვრისა და მუშაობის გაუმჯობესებისათვის საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტმა კონკრეტული ღონისძიებანი დასახა.

სამხედრო განყოფილებამ, თბილისის საარტილერიო სასწავლებლის სარდლობასთან ერთად სამხედრო სასწავლებელში საუკეთესო ამხანაგების მიზიდვის მიზნით ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მოაწყო ახალგაზრდათა დიდი სეირნობა და შეხვედრა სასწავლებლის კოლექტივთან, ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 10 ათასზე მეტმა ახალგაზრდამ. შეხვედრის საღამოზე მოეწყო სამხედრო ტექნიკის ჩვენების საცხენოსნო სპორტული შეჯიბრება, ფიზკულტურული გამოსვლა, საუბარი სამხედრო სასწავლებელში მიღების მნიშვნელობასა და პირობებზე.

ამ შეხვედრის შედეგად ბევრ ახალგაზრდას შეაქვს განცხადება სამხედრო სასწავლებელში მიღების შესახებ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამხედრო განყოფილება მოკლე ხანში შეამოწმებს 26 კომისრის სახ. რაიონის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს მუშაობას, აგრეთვე სტალინის რაიონის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის მუშაობას.

შ. ბერიკაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამხედრო განყოფილების გამგე.

(საქდესი)

თავდაცვა-ავიაქიმის ავიაციის სისტემაში მომუშავე კომუნისტების რესპუბლიკური თათბირი

21 მაისს თბილისის აეროკლუბში შესდგა საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ავიაციის სისტემაში მომუშავე კომუნისტების რესპუბლიკური თათბირი, თბილისის აეროკლუბის კომკავშირის აქტივთან ერთად. თათბირმა მოისმინა ამხ. ანანენკოს მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შედეგების შესახებ.

სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ავიაციის მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე, წამოაყენეს პრაქტიკული ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამხ. შ. ახალაძემ (ქუთაისის აეროკლუბის კომისარი) აღნიშნა, რომ ქუთაისის აეროკლუბის მსმენელთა შორის, რომლებიც საფრენოსნო საქმეს სწავლობენ, სუსტია მასობრივი თავდაცვითი მუშაობა, ისინი ვერ აბარებენ ვოროშილოვისეული მსროლელის, საჰაერო-ქიმიური თავდაცვის და სხვა ნორმებს.

აეროკლუბებში სწავლის ხარისხის ამაღლებისა და განსაკუთრებით საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის, XVIII პარტყრილობაზე ამხანაგ სტალინის გენიალური მოხსენებისა და ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის შესახებ ილაპარაკეს ამხ. პ. ბეზრუკოვმა (თბილისის აეროკლუბის საფრენოსნო ნაწილის კომისარი), გ. ხარაბაძემ (კურსანტი), ნ. სუნნიოლმ (მფრინავ - ინსტრუქტორი) და გ. კირვალიძემ (თბილისის აეროკლუბის კომკავშირის კომიტეტის მდივანი).

ამხ. ა. სრესელმა აღნიშნა, რომ მათმა აეროკლუბმა გასულ წელს მოკემული გეგმები გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შეასრულა, რისთვისაც მიიღო საქ. სსრ გარდამავალი დროშა. ჩვენს აეროკლუბს, — ამბობს იგი, — თავისი მუშაობით პირველი ადგილი უჭირავს საქართველოს სს რესპუბლიკაში, ხოლო მეორე ადგილი მთელს კავშირში, მომავალშიაც ვეცდებით ყველა ვალდებულება შევასრულოთ გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად. შევინარჩუნოთ გარდამავალი დროშა.

თათბირმა ხანგრძლივი მქუხარე ოვაციით მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს** და საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელოვან სახალხო კომისარს ამხანაგ **ვოროშილოვს.**

საფუძვლიანად გავაშუქოთ პარჯიული ცხოვრება

„ბოლშევიკური ტემპით“

საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომისა და რაიალმასკომის ორგანო

ბოლშევიკური პარტიის XVIII ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობა ახალ საფეხურზე აიყვანა. ყრილობის გადაწყვეტილებებმა პარტიული ცხოვრება კიდევ უფრო მრავალმხრივი და საინტერესო გახადეს. პრესის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ღრმად და საფუძვლიანად გააშუქოს პარტორგანიზაციათა ეს მრავალფეროვანი ცხოვრება, გააშუქოს პარტორგანიზაციათა ბრძოლა ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისთვის, მოაწყოს გამოცდილების ურთიერთ გაზიარება და ამით ხელი შეუწყოს პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის შემდგომ აღმავლობას.

როგორ ასრულებს ამ ამოცანას ბორჯომის სარაიონო გაზეთი „ბოლშევიკური ტემპით“? მართალია, ეს გაზეთი პარტიული ცხოვრების გაშუქებას მნიშვნელოვან ადგილს უთმობს, გაზეთში ამ საკითხზე ხშირად მთელი გვერდებია, მაგრამ რა სწერია ამ გვერდებში?

ჯერ ერთი,—ძალიან მცირეა იმ საკითხთა წრე, რომელსაც გაზეთი აშუქებს. შეიძლება ითქვას, რომ ყრილობის შემდეგ გაზეთი არსებითად პარტიული მუშაობის მხოლოდ ერთი საკითხის—აგიტაციის საკითხის გარშემო ტრიალებს. პარტიული ცხოვრების მასალათა ცხრა მეათედზე მეტი სწორედ ამ საკითხს ეხება. რასაკვირველია, კარგია, რომ გაზეთი საგიტაციო მუშაობას ყურადღებას აქცევს, მაგრამ პარტიული ცხოვრება მარტო ხომ ამით არ ამოიწურება. ამასთან ერთად საჭირო იყო ფართოდ გაეშუქებინა თუნდაც კადრებთან მუშაობის, ძველი და ახალი კადრების შეზამების, ახალი კადრების დაწინაურებისა და ზრდის, ახალი წესდების განხორციელების, კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის, სამხედრო თავდაცვითი მუშაობის და მრავალი სხვა საკითხი, რომელიც ყრილობამ დააყენა პარტორგანიზაციათა წინაშე. გაზეთში ამ საკითხებზე თითქმის არაფერი იწერება.

მეორე,—ამ გაზეთის პარტიული ცხოვრების განყოფილების წერილები უმთავრესად ერთფეროვანი არიან და ხშირად ინფორმაციულ ხასიათს ატარებენ. წერილები ჩვეულებრივ იძლევიან იმის ფოტოგრაფიულ სურათს, თუ სად როგორ არის დაყენებული აგიტაცია, ვინ არის კარგი და ვინ არის ცუდი აგიტატორი, რა საკითხზე ტარდება აგიტაცია და სხვ. ცოტაა ისეთი მასალები, რომლებიც სახელმძღვანელო მითითებებს იძლეოდნენ. ავიღოთ, მაგალითად, გაზეთის 18 მარტის ნომერი. ამ ნომერში სწერია:

„მან (ერთერთმა აგიტატორმა—რედ.) უკანასკნელად სააგიტაციო ჯგუფის წევრებს გააცნო ამხანაგების მოლოტოვის და ედანოვის მოხსენებათა თეზისები, რამაც უდიდესი დაინტერესება გამოიწვია ჯგუფის წევრებში“.

აქედან სჩანს, რომ აგიტატორი ჩამორჩა ცხოვრებას. მაშინ, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა უდიდესი ინტერესით ეცნობოდა დიდი სტალინის მოხსენებას და საერთოდ ყრილობის დოკუმენტებს, აგიტატორი მსმენელებს წინასაყრილობო დოკუმენტებზე ესაუბრება. ამ ჩამორჩენის შესახებ გაზეთი კრიტესაც არა სძრავს, გაზეთი ამდენს ამ ფაქტს მხოლოდ რეგისტრაციას. ასეთი წერილებიდან ბევრს ვერაფერს ისწავლიან ჩვენი პარტიული მუშაკები.

მესამე,—ბორჯომის რაიონული გაზეთის მუშაკებს, როგორც სჩანს, ცოტა სხვანაირად ესმით აგიტაციის მიზანი. ჩვენ ვიცით, რომ აგიტაციის მთავარი მიზანია დაკავშაყოფილოს მასების გაზრდილი ინტერესი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების გაცხრობისა. აგიტაციის მიზანია იყოლიოს მასები საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის კურსში და აჩრიგად ხელი შეუწყოს მასების დარაზმვას ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრისათვის. ბორჯომის გაზეთი კი აგიტატორებისაგან მეტს მოითხოვს. ის მათ მიზნად უსახავს „ღრმად“, „საფუძვლიანად“, „ყოველმხრივ“ შეასწავლონ მასებს უდიდესი ისტორიული დოკუმენტები. ეს რასაკვირველია, სასურველია, კარგია, მაგრამ აგიტატორი თუ ამ ამოცანას დაისახავს, მას ყოველდღიური ამბები მხედველობიდან გამორჩება და აგიტაცია თავის მიზანს ვერ შეასრულებს. როგორც სჩანს, ამ გაზეთის მუშაკებს აქვთ ტენდენცია გადაიქცინონ აგიტაცია წინათ არსებული პოლიტწრეგების ფარულ ფორმად, ანდა შეიძლება ისინი არ უფიქრდებიან სტატიკურ—„ღრმად შესწავლა“. „საფუძვლიანად შესწავლა“ და სხვ. მნიშვნელობას.

გარდა ამისა, ბორჯომის რაიონული გაზეთის მუშაკები წერილების დამუშავებას ზოგჯერ ზერელეთ ეკიდებიან. მაგალითისათვის ავიღოთ ერთი კორესპონდენცია 23 თებერვლის ნომრიდან. ათიოდე სტრიქონიან კორესპონდენციაში სათაურით — „ლიტერატურა აკლიათ“ ორი წინაღმდეგობაა.

„მინერალური წყლების ჩამომსმელი ქარხნის ბიბლიოთეკა (გამგე ამხ. ა. ნერეულაძე),—ნათქვამია ამ კორესპონდენციის პირველ აბზაცში,—ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შორის სათანადო მუშაობას ატარებს“.

ერთი აბზაცის ქვემოთ კი ეკითხულობთ:

„ბიბლიოთეკა სათანადოდ არ ეხმარება ჩამწყობი განყოფილების მუშა-მოსამსახურეებს და სხვ.“.

შემდეგ კორესპონდენციაში ნათქვამია:

„ბიბლიოთეკაში მოწყობილია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ღრმად შესწავლისათვის ყველა საჭირო ლიტერატურის გამოფენა“.

ცოტა ქვემოთ კი ეკითხულობთ:

„აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკაში ჯერ კიდევ არ მოიპოვება მრავალი საჭირო ლიტერატურა“.

ერთი სიტყვით, „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“.

გაზეთ „ბოლშევიკური ტემპით“-ის მუშაკებს მართებთ უფრო სეროზულად, უფრო დაკვირვებით იმუშაონ. დიდ მუშაობას ატარებენ ჩვენი პარტორგანიზაციები პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ამ მუშაობაში პარტორგანიზაციებს აქვთ მიღწევებიც და ჩრდილოვანი მხარეებიც. ჩვენი გაზეთების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კარგი მუშაობის გამოცდილება მთელი რაიონის პარტორგანიზაციათა კუთვნილებად გახადონ, ცუდი მუშაობა გააკრიტიკონ და ამრიგად ბოლშევიკურად იბრძოლონ პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის აღმავლობისათვის.

ცხაკაიას რაიონმა შეასრულა ჩაის კრეფის მაისის გეგმა

ცხაკაია, 22 მაისი. 21 მაისს ცხაკაიას რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაისის გეგმა. ნაცვლად 204.380 კილოგრამისა, რაიონში მოკრეფილია 207.066 კილოგრამი ჩაის ფოთოლი—თვიური გეგმის 101,3 პროცენტი.

ჩაის კრეფა გრძელდება. გეგმის ზევით მაისში მოკრეფილი იქნება 70 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი შამუგია

რაიალმასკომის თავმჯდომარე ბერაია.

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

(„საქჩაის“ 20 მაისის ცნობებით)

მეურნეობების დასახელება	მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა ტონებით.	აპრილის და მაისის გეგმა ტონებით,	მოკრეფილი ფოთლის ტონაჟი	წლიური გეგმის შესრულება ტონებით.	თვიური გეგმის შესრულება ტონებით.
სალიბაურის	420	101	45,9	10,9	45,4
ჩაქვის	1850	462	145,5	7,9	31,5
ორხამურის	1618	340	139,2	8,6	40,9
ლაითურის	1486	327	123,9	8,3	37,9
ნასაკირალის	911	200	103,5	11,4	51,7
წულუკიძის	310	75	71,5	23,1	95,3
დიდი-ჭყონის	681	136	45,6	6,7	33,5
ლესიჭინის	302	66	44	14,6	66,7
ნარაზენის	890	213	109,4	.12	51,4
ჯოლევჯიანის	793	167	94,6	11,9	56,6
წალენჯიხის	505	106	71,5	14,2	67,5
აჩიგვარის	718	151	96,2	13,4	63,7
კოდორის	343	72	62,1	18,1	86,2
სულ	**10.827**	**2.416**	**1.152,9**	**10,6**	**47,7**

○

შარშან ამ დროს მოკრეფილი იყო სულ 559,5 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი — წლიური გეგმის 6,2 პროცენტი, თვიურისა კი—28,8 პროცენტი.

წელს მაისის პირველ ხუთდღიურში საბჭოთა მეურნეობებში მოიკრიფა 17,8 ტონა ჩაის ფოთოლი, მეორეში—145,3, მესამეში—183,3 და მეოთხეში კი—606,5 ტონა.

ზუგდიდის რაიონი. ჯოლევჯიანის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მწოხავი რ. აბაშიძე ჩაის ფოთოლს ღებულობს მკრეფავ რ. აბაკუმოვასაგან.

საქდესის ფოტოქრონიკა

ლ. ჯავახაძე

სახალხო კომისარიატთა პარტორგანიზაციების ამოცანები

თავის ისტორიულ მოხსენებაში XVIII პარტიულ ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა ამოცანად დაგვიხახა: ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ პარტიული მუშაობა, განვამტკიცოთ პარტიის რიგები, „მივუახლოოთ ხელმძღვანელი ორგანოები ძირეულ მუშაობას, რათა მათი ხელმძღვანელი მუშაობა გავხადოთ სულ უფროდაუფრო ოპერატიული და კონკრეტული, რაც შეიძლება ნაკლებად სასხდომო ხასიათისა და ნაკლებად კანცელარიული“.

ამ ამოცანების განხორციელებაში პარტიულ ორგანიზაციებს უდიდეს დახმარებას გაუწევს საკ. კ. პ. (ბ) ახალი წესდება, მიღებული XVIII პარტყრილობის მიერ. ახალი წესდება ჩვენი პარტიის უძლიერესი და უმახვილესი ორგანიზაციული იარაღია, რომელიც დაეხმარება მას დიდი წარმატებებით იბრძოლოს სოციალიზმის საქმისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

პარტიის წესდებაში შეტანილია მეტად მნიშვნელოვანი დამატებები და ცვლილებანი; ეს ცვლილებანი და დამატებანი მიმართულია იქითკენ, რომ ამაღლებულ იქნას პირველადი პარტორგანიზაციების როლი, გაძლიერდეს მათი აქტიურობა და ბრძოლისუნარიანობა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებს, მათ შორის საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და მტს-ების პარტიულ ორგანიზაციებს, მათი როლის ამაღლებისა და საწარმოთა მუშაობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით ახალი წესდებით მიენიჭათ ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის უფლება. ამ ღირსშესანიშნავმა დამატებამ უკვე დადებითი გავლენა მოახდინა მრავალი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაზე, ხელი შეუწყო მათი მუშაობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.

მაგალითად, ტყიბულის ლენინის სახელობის პირველადი პარტორგანიზაცია წინათ გვერდს უვლიდა საწარმოო საკითხებს. ეს უარყოფითს გავლენას ახდენდა მაღაროს მუშაობაზე. მიმდინარე წლის აპრილის პირველ დეკადაში მაღარო ჩამორჩა გეგმის შესრულებაში. მაგრამ პარტიული ორგანიზაცია შეუდგა ახლებურად მუშაობას, შეისწავლა მაღაროს ჩამორჩენის საკითხი და დასახა პრაქტიკული ზომები ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად, დარაზმა კომუნისტები, ყველა მაღაროელნი გეგმის შესრულებისათვის საბრძოლველად. ასეთმა მუშაობამ მალე გამოიღო ნაყოფი. აპრილის მეორე დეკადიდან მაღარომ თავი დააღწია ჩამორჩენას. ხელმძღვანელობდა რა პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებებით, ასევე თვალსაჩინოდ გარდაჰქმნა მუშაობა წნორის მტს-ის პარტორგანიზაციამ. მან სწორად შეათავსა პარტიულ - პოლიტიკური ხელმძღვანელობა სამეურნეო ხელმძღვანელობასთან და მიაღწია მტს-ის მიერ სამეურნეო გეგმების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებას.

სახალხო კომისარიატებისა და სხვა საბჭოთა დაწესებულებების (ტრესტების, საკავშირო და რესპუბლიკური სამმართველოების და კანტორების) პარტორგანიზაციებს მათი მუშაობის სპეციფიკური პირობების გამო ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის უფლება არ ეძლევათ. მაგრამ ისინი მოწოდებული არიან მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა შესახებ სიგნალები მისცენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, თავიანთი წინადადებები და მოსაზრებანი აცნობონ სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელებს, ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს.

ახალ წესდებაში სწერია: „სახალხო კომისარიატების პარტიული ორგანიზაციები, რომელთაც, საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის განსაკუთრებული პირობების გამო, კონტროლის ფუნქციებით სარგებლობა არ შეუძლიათ, ვალდებული არიან სიგნალი მისცენ დაწესებულების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ, აღნიშნონ სახალხო კომისარიატისა და მისი ცალკეული შუამავლების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელებს გადაუგზავნონ თავიანთი მასალა და მოსაზრებანი“. (საკ. კ. პ. (ბ) წესდება).

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგმა ჟდანოვმა სასტიკად დასცინა სახალხო კომისარიატთა იმ ცალკეული პარტიული ორგანიზაციების უხეირო მუშაობის პრაქტიკას, რომელნიც ცდილობდნენ სახალხო კომისარიატების ხელმძღვანელობის მაგიერობის გაწევას, პერიფერიებისათვის ხელმძღვანელობის გაწევას; ამავე დროს მათ ავიწყდებოდათ ზრუნვა ამ დაწესებულებათა აპარატის მუშაობის გაჯანსაღებისა და ახალი კადრების აღზრდის და დაწინაურებისათვის. მსგავს მაგალითებს ჩვენშიაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, მიმდინარე წლის 14 მარტს საქ. აღგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის პარტორგანიზაციამ მოისმინა თავის კრებაზე საშენ მასალათა სამმართველოს უფროსის ამხ. სავინსკის მოხსენება 1938 წლის შედეგებისა და 1939 წლის პირველი კვარტალის გეგმის შესრულების მიმდინარეობაზე და „დირექტივები მისცა“ სამმართველოს ხელმძღვანელებს. ასეთსავე პრაქტიკას ადგილი ჰქონდა საქ. ჯანსახკომის პირველადს პარტორგანიზაციაშიც.

ასეთი შეცდომები იმისი შედეგია, რომ ადგილი ჰ

სანიმუშოდ მოვაწყოთ მასობრივი თავდაცვითი მუშაობა

საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მოგბილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა ვერავითარმა „შემთხვევითობამ“ და ჩვენი გარეშე მტრების ვერავითარმა ოინებმა ვერ მოგვისწროს მოუმზადებელს.

ი. სტალინი

★

„ჩვენ შეგვიძლია და მოვალენი ვართ უახლოეს დროში გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ თავდაცვა-ავიაქიმმა თავისი ორგანიზაციების სისტემით მოიცვას ყველა ფაბრიკა და ქარხანა, საწარმო, დაწესებულება, სასწავლებელი და კოლმეურნეობა“.

ჯ. ვოროშილოვი

ჩემი სამშობლოსათვის, დიდი სტალინის საქმისათვის

(წინააღმდეგის წერილი)

ჩემს თანასოფლელებთან და ტოლებთან ერთად მოუთმენლად ველი 1939 წლის 16 სექტემბერს. ეს თარიღი მთელ ჩემს სიცოცხლეში დაუვიწყარი იქნება. ამ დღეს ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ახალგაზრდა პატრიოტები გასაწვევ პუნქტზე გამოვცხადდებით და მივიღებთ მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში წასვლის საგზურებს.

სიამაყით, სიხარულით ჩავდგებით ჩვენს წითელარმიელთა ფოლადის რიგებში. ასეულებსა, ბატარიებსა და ესკადრონებში ჩვენ დაგვხვდებიან მებრძოლი მეგობრები, მეორე წლის სამსახურის წითელარმიელები, მეთაურები, კომისრები და პოლიტმუშაკები.

თვითეულ ჩვენგანს ჩააბარებენ საბრძოლო იარაღს. ერთნი ხელში აიღებთ შაშხანებს და ვისწავლით აუცდენლად სროლას, მეორენი ბასარი ხმლით შეიარაღებულნი ბედაურებით გაინავარდებენ, მესამენი მრისხანე ქვემეხებთან დადგებიან, მეოთხენი ფოლადის ტანკებში ჩასხდებიან, მეხუთენი თვითმფრინავებით ცის კამარაში შეინავარდებენ. ყველას, მათ შორის მეტყვიამფრქვევებს, მესნაგრეებს, მეკავშირეებს— ერთი მიზანი გვექნება:

— შეუპოვრად დავეუფლოთ ჩვენს იარაღს, საბრძოლო ტექნიკას, რომ მტრის თავდასხმის ჟამს გაბედულად და მამაცურად გამოვიდეთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საზღვრების დასაცავად ლენინ-სტალინის საქმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის.

ახალწვეულებს ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ მებრძოლი მეთაურები, კომისრები და პოლიტმუშაკები დაგვეხმარებიან, რათა ნამდვილი ბოლშევიკი მხედრები გავხდეთ; ისეთები, როგორიც იყვნენ წითელი არმიის ლეგენდარული გმირები ჩაპაევი, შორსი, ლაზო და სხვები. ღრმად გვწამს, რომ დიადი სამშობლოს უშიშარ შვილებად აღგვზრდის წითელი არმია.

ჩვენი დიადი სამშობლო მშვიდობიანობის ქვეყანაა. მისი ძლიერი წითელი არმია მთელი მსოფლიოს მშვიდობიანობის ბურჯია. ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ არც არავის მივცემთ ნებას დაუსჯელად აღმართოს ხელი ჩვენი საყვარელი საბჭოთა მიწაწყლის წინააღმდეგ. საბრძოლო განგაშის ჟამს ათასობით და ათიათასობით გმირნი გვერდით დაგვიდგებიან საბჭოთა კავშირის წმინდათა-წმინდა სადარაჯოზე.

ჩემი სამშობლოსათვის, დიდი სტალინის საქმისათვის მინდა ჩავდგე უძლეველი წითელი არმიის მებრძოლთა მოწინავე რიგებში.

ვანო თეთრაული

წინააღმდეგი, თელავის რაიონიდან.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲒᲐᲬᲕᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

(ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠ — ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ Ვ. ᲫᲐᲑᲐᲮᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ)

— რამდენიმე თვის შემდეგ, — განაცხადა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში საქ. სამხედრო კომისარმა ამხ. ვალ. ძაბახიძემ, — დაიწყება მორიგი გაწვევა სახელოვანი და უძლეველი წითელი არმიის რიგებში. საქართველოს ახალგაზრდობა, საბჭოთა კავშირის მთელ ახალგაზრდობასთან ერთად, ცხოველი ინტერესით და აღფრთოვანებით მოელის ამ გაწვევას. ღღე არ გაივლის, რომ ჩვენს სამხედრო კომისარიატში ათეული წერილი არ მივიღოთ რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან. გვწერენ კოლმეურნეები, მუშები, საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდები, მშობლები, ვინ გინდათ რომ არ გვიგზავნიდეს წერილებს, განცხადებებს, „თხოვნებსაც“ კი. ყველა ერთსადაიმავე საკითხზე გვწერს, ერთსადაიმავეს გვთხოვს: — მიმიღეთ წითელ არმიაში, ნუ გაავრცელებთ ჩემზე შელავათებს.

ამ წერილთა ავტორების დასახელება შორს წაგვიყვანს, მათი რიცხვი მეტად დიდია.

მაგალითად, გეგეჭკორის რაიონიდან (სოფ. ჭყონი) მივიღეთ ერთი ახალგაზრდა პატრიოტის — ვარდენ ლევანის-ძე გადელიას „განცხადება“. აი, რას გვწერს იგი:

„მესამედ გიგზავნით ასეთ ჩემს განცხადებას. თქვენ მიპასუხეთ, რომ, თანახმად არსებული წესებისა, მე შეღავათი მეკუთვნის და ამიტომ ჯარში არ გამიწვიეთ. კიდევ გთხოვთ დაუშვათ ჩემთვის გამონაკლისი და მიმიღოთ ჯარში. ველი თქვენს დადებითს პასუხს“...

სიღნაღის და თელავის რაიონებიდან, შორეული ხულოსა და ქედის რაიონებიდან, ხევსურეთიდან, სამხრეთ-ოსეთიდან, რაჭიდან და იმერეთიდან, ყოველი მხრიდან და კუთხიდან მოგვმართავენ თხოვნით ახალგაზრდები. ბევრი მათგანი წერილს ფრთხილობს — ჩემზე არ გავრცელდეს შეღავათები და არმიაში წაყვანაზე უარი არ მითხრანო.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ წვევამდელთა შორის მზადება მორიგი გაწვევისათვის წელს ბევრად უკეთ მიმდინარეობს, ვიდრე გასულ წლებში. ლოზუნგი — მივცეთ არმიას ჯანსაღი, კულტურული და მომზადებული შევსება — წელს, ვფიქრობ, უნაკლოდ იქნება განხორციელებული. წვევამდელთა შორის მორიგი გაწვევისათვის მზადების ამ საერთო წარმატებისას, აქა-იქ, ზოგ რაიონში ყველაფერი ვერაა მოწესრიგებული. არიან რაიონები, სადაც ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები კიდევ არ უწყობენ ხელს წვევამდელთა შორის მზადებას ისე, როგორც საჭიროა. ასეთი რაიონების რიცხვს ეკუთვნიან — ვანის, ჭიათურის, ჩხარის, აღბულაღის და ონის რაიონები. შედარებით სუსტად ემზადებიან მორიგი გაწვევისათვის ბაშკიჩეთის, ლუქსემბურგის, სამტრედიის და ყვარლის რაიონებში. რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა აქ ვერ შესძლეს საქმის სათავეში ჩადგომა, ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ისინი არ ჩქარობენ მუშაობის ამ უბანს მიაქცინონ ჯეროვანი ყურადღება,— მაინც კი გაგმიძღვანდა მორიგი გაწვევის კარგად ჩატარება, რადგან ახალგაზრდობა და მთელი მოსახლეობა უაღრესი ენტუზიაზმით მოელის მორიგ გაწვევასო.

მთელ რიგ რაიონებში, უმთავრესად კი იმ რაიონებში, რომლებიც ზემოთ დავასახელე, მოიკოჭლებს თავდაცვა - ავიაქიმის, წითელი ჯვრის, ჯანმრთელობის დაცვის და განათლების ორგანოების მუშაობა.

მაგრამ არიან ისეთი რაიონებიც, სადაც რაიონული ხელმძღვანელი ორგანიზაციები სანიმუშოდ მუშაობენ და თავდაცვა-ავიაქიმის, წითელი ჯვრის, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა ორგანიზაციების მუშაობაც მაღალ დონეზე დგას. ასეთი რაიონებია — თელავის, ხაშურის, ზნაურის, ბორჯომის, წულუკიძის, ზესტაფონის, აჯარის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი და სხვ.

საქართველოს ახალგაზრდობა ენტუზიაზმით და აღფრთოვანებით ელის წითელ არმიაში შასვლას. მოამზადეთ ჩვენი ახალგაზრდა პატრიოტები არმიაში შესასვლელად! ასე უნდა მივმართოთ დღეს ჩვენი რაიონების ხელმძღვანელ მუშაკებს. დრო საკმაოა მათ განკარგულებაში, რომ საქმე გამოასწორონ და წვევამდელთა მზადებაში დაწინაურებულ რაიონებს არ ჩამორჩენ.

სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ თბილისის საცხენოსნო-სასპორტო სკოლის მეთაური ამხ. ფ. გელაშვილი სკოლის კურსანტ ქალს ამხ. ლ. სიზოვას აძლევს ტაქტიკურ ამოცანას. საქდისის ფოტოქრონიკა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲐ-ᲐᲕᲘᲐᲥᲘᲛᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲰᲥᲛᲜᲐᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

მე-18 პარტყრილობამ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების წინაშე მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები დასახა. „ეს ორგანიზაცია მოწოდებულია აწარმოოს მუშათა, მოსამსახურეთა, ინტელიგენციის, მოსწავლეთა და კოლმეურნეთა მომზადება სახელმწიფოს თავდაცვის ინტერესებისათვის. ამავე დროს თავდაცვა-ავიაქიმი ეხმარება წითელ არმიას სხვადასხვა სამხედრო სპეციალობის კადრების წინასწარი გამოწვრთნის „შავი“ მუშაობის საქმეში“ **(ვოროშილოვი).**

ამ ამოცანების შესრულებისათვის საჭირო სიმაღლეზე ვერ დგას საქართველოს თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრალური საბჭო და რაისაბჭოები. თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს წარმოებისაგან მოუწყვეტლად წითელი არმიის რეზერვის სათანადოდ მომზადება და მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმა თავდაცვითს მუშაობაში.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოები. მაგალითად, თავდაცვა-ავიაქიმის სამტრედიის რაისაბჭომ (ყოფილი თავმჯდომარე — გ. გიორგობიანი) არც კი იცოდა, რომ წარმოებისაგან მოუწყვეტლად წვევამდელთა მომზადება უნდა დაეწყოთ 15 თებერვლიდან. ამ საქმეს ისინი 21 მარტიდან შეუდგნენ. რაისაბჭოს მუშაკები მთელ დროს ერთმანეთთან კინკლაობაში ატარებდნენ და ამის გამო მხედველობიდან გამორჩათ წვევამდელთა მომზადება. სამტრედიის რაიონში ძალიან მცირეა თავდაცვა-ავიაქიმის წევრთა რაოდენობა; კულაშის საშუალო სკოლაში 500 მოსწავლეა, ამათგან თავდაცვა-ავიაქიმის წევრია მხოლოდ 30.

ასეთივე მდგომარეობაა აბაშის რაიონში. აქ ხშირად იშლება წვევამდელთა მეცადინეობა, არა აქვთ სასწავლო ინვენტარი. რაისაბჭოს თავმჯდომარეები ხშირად იცვლებიან. განთავისუფლებულნი ანგარიშს არ აბარებენ ამომრჩევლებს. რაისაბჭოს თავმჯდომარეს კი არ ირჩევენ, არამედ ნიშნავენ. რაისაბჭოს ახლანდელი თავმჯდომარე ვაშალომიძე დანიშნულია და არა არჩეული. ასეთი ფაქტები არც თუ ისე იშვიათია რაიონული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში.

თავდაცვა-ავიაქიმის ხობის რაისაბჭოს თავმჯდომარე ჩიტაია თითქმის არაფერს აკეთებს. ასევე არაფერს აკეთებს გეგეჭკორის რაისაბჭოს თავმჯდომარე იოსავა. ეს ამხანაგები დიდიხანია, რაც თავდაცვა-ავიაქიმის ხაზით მუშაობენ, და ისინი ერთდროს ცუდად რიდი მუშაობდნენ. მაგრამ საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურმა საბჭომ მათთვის ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევა შეასუსტა. არა აქვთ მატერიალური ბაზა საჭიროა მუშაობისათვის, არავინ ამოწმებს მათ მუშაობას და ამის გამო ისინი თვითდინებას მიეცენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ რაიონში ადგილობრივ სამხედრო კომისარიატსა და თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოს შორის კონტაქტი არ არის დამყარებული. ამას გარდა, ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები თავდაცვა-ავიაქიმის მუშაკებს თვეობით ამაგრებენ სხვადასხვა კამპანიებზე. ამის გამო ეს მუშაკები მოწყვეტილი არიან თავიანთ უშუალო საქმეს. ზემოაღნიშნულიდან არ შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს ჩვენ არა გვქონდეს თავდაცვა-ავიაქიმის მოწინავე პირველადი ორგანიზაციები და რაისაბჭოები. მოწინავე ორგანიზაციები მრავლად არიან. მიღწევები გაცილებით მეტი გვექნებოდა, — რომ საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭო მათ უკეთ ხელმძღვანელობდეს.

თავდაცვა-ავიაქიმის საქართველოს ცენტრალურმა საბჭომ თავი უნდა დააღწიოს კანცელარშჩინას და ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიოს რაისაბჭოებსა და პირველადს ორგანიზაციებს. ამ საქმეში უნდა დავეხმაროთ ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, „რომ თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობა არსებითად გახდეს საზოგადოებრივ-მასობრივი მუშაობა, რომ საზოგადოების ყველა წევრი ხედავდეს იმ საქმის სარგებლობასა და საჭიროებას, რომელსაც თავდაცვა-ავიაქიმი აკეთებს“. **(ვოროშილოვი).**

ს. ჯუჯულაშვილი.

თავდაცვა - ავიაქიმის საქ. ცენტრალური საბჭოს საბრძოლო მომზადების განყოფილების კომისარი.

ᲐᲠ ᲓᲐᲕᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲓᲔᲗ ᲛᲘᲚᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲯᲔᲑᲔᲑᲘᲗ

თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის ხალხმრავალ კოლექტივს კარგად ესმის, რომ ომის შემთხვევაში ზურგის ორგანიზებულად, სანიმუშოდ დაცვა ისევე საპატიო საქმეა, როგორც ბრძოლა ფრონტზე.

ამჟამად ფაბრიკაში შექმნილია 17 სხვადასხვა წრე, რომლებშიც ერთდროულად 600-მდე კაცი მეცადინეობს. თვითეულ წრეს აქვს თავისი სპეციალური სასწავლო პროგრამა. მოწყობილია სამუშაო კაბინეტები, რომლებიც უზრუნველყოფილია საათანადო სასწავლო ხელსაწყოებითა და სხვ.

ეროშილოვისებური სროლის შემსწავლელმა წრემ, რომელსაც გ. დავიდოვი ხელმძღვანელობს, რამდენიმე ათეული საუკეთესო ფრიადოსანი მსროლელი მოამზადა.

მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევა აგრეთვე ქიმიური თავდაცვის წრე (ხელმძღვანელი—გ. მანუკოვი). წრეში მეცადინეობა ორ ნაკადად მიმდინარეობს. მან მოამზადა და ამ დღეებში გამოუშვა 30 კაცი, რომელთაც უკანასკნელი გამოცდები ფრიადზე და კარგზე ჩააბარეს.

ასევე კარგად მუშაობენ ხელუუშბარის მტყორცნელთა (ხელმძღვანელი ივ. პერემიშლენიკოვი და გ. კოშაძე), მეტყვიამფრქვევეთა (ხელმძღვანელი მ. ვასიუკინი, გ. თოფურია), მეხანძრეთა და სხვა წრეები.

ფაბრიკის ხუთიათასიანი კოლექტივი განსაკუთრებული გულისყურით ეკიდება საჰაერო თავდაცვის საქმის სანიმუშოდ შესწავლას. ყველა საამქროსა და განყოფილებაში შექმნილია თავდაცვითი რგოლები, რომლებსაც საამქროებისა და ცვლების უფროსები ხელმძღვანელობენ.

ფ. ინწკირველი.

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ

(ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ, „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲥ. ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის მილიონერ კოლმეურნეობასთან არსებული თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაცია 439 წევრს ითვლის, ამათგან ნახევარზე მეტს კოლმეურნე ქალები შეადგენენ. კოლმეურნე დანიელ კუბისიძემ (თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე) შესანიშნავად მოაწყო მასობრივი თავდაცვითი მუშაობა.

კოლმეურნეობის წევრები დიდი მონდომებით სწავლობენ და აბარებენ ეროშილოვისებური მსროლელისა და საჰაერო-ქიმიური თავდაცვის ნორმებს. ამ საქმეში განსაკუთრებით გამორჩეულნი კოლმეურნე ქალები, სტახანოველები: შ. ქურცუა, შ. კუბისიძე, თ. მიმინოშვილი, ვ. ცერცვაძე, კ. ქარჩავა, ჰ. ბოლქვაძე, ნ. ჩხაიძე და სხვ. ისინი ღირსეულად აბარებენ ნორმებს ეროშილოვისებური მსროლელისა და „მზად ვართ ს. ქ. თ.“ ნიშნებზე. ასევე ღირსეულად აბარებს ნორმებს ამ ნიშნებზე 70 წლის კოლმეურნე-სტახანოველი კირილე ჯაყელი.

ეროშილოვისებური მსროლელის პირველი საფეხურის ნორმები ჩააბარა კოლმეურნეობის 80 წევრმა, ხოლო ს. ქ. თ. პირველი საფეხურის ნორმები ორასმა. ამჟამად 60 კაცი ემზადება ს. ქ. თ. მეორე საფეხურის ნორმების ჩასაბარებლად. კოლმეურნეობასთან ეწყობა სამხედრო კაბინეტი, რომლის ინვენტარი უკვე შეძენილია. კოლმეურნეობის წევრთა უმრავლესობას აქვს აირწინაღი. სისტემატურად ტარდება საუბრები და ლექციები საერთაშორისო და თავდაცვთს საკითხებზე.

თავდაცვა-ავიაქიმის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულმა პირველადმა ორგანიზაციამ მეხუთე საკავშირო ქიმიურ შეჯიბრებაში საქართველოს საკოლმეურნეო ორგანიზაციებს შორის პირველობა აიღო, აირწინაღებით გამოიყვანა 300 კოლმეურნე, რომლებმაც გადალახეს 15 კილომეტრი მანძილი.

პირველადს ორგანიზაციას დიდ დახმარებას უწევენ ხასანის ბრძოლების მონაწილე, ორდენოსანი დომენტი მეგრელიშვილი და წითელი არმიის რიგებიდან ახლახან დაბრუნებულნი ი. ჩხაიძე, ი. ევგენიძე, შ. გოგოძე და სხვ. დ. მეგრელიშვილმა რამდენიმე საუბარი ჩაატარა ხასანის ბრძოლების შესახებ, რამაც დიდი აღფრთოვანება და ენტუზიაზმი გამოიწვია კოლმეურნეთა შორის.

ლ. მახარაძე.



სოფ. დიღმის საშუალო სკოლის მოსწავლეები, ახალგაზრდა ეროშილოვისებური მსროლელები ვარჯიშობენ მცირეყალიბიანი შაშხანით სროლაში. საქდისის ფოტოქრონიკა

თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის ერთ-ერთი ჯგუფი აირწინაღებით მეცადინეობის დროს.

ფოტო რ. აკუფოვისა

ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲔᲑᲘ ᲐᲑᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲡ

სამი წელია, რაც საჰაერო-ქიმიური თავდაცვის სტალინის რაიონის სასწავლო წერტის შტატგარეშე ინსტრუქტორად ვმუშაობ. ვამეცადინებ ჯგუფებს, რომლებმაც უნდა ჩააბარონ საჰაერო-ქიმიური თავდაცვის პირველი და მეორე საფეხურის ნორმები. მუშაობა მეტწილად მიხდება დიასახლისებს შორის. სამი წლის განმავლობაში ბევრი დიასახლისი მოვამზადე, მათგან უმრავლესობამ ფრიადზე ჩააბარა ს. ქ. თ. ნორმები.

აი თუნდაც ვ. შაროგრადსკაია. იგი მეცადინეობაზე დროზე მოდიოდა, მისმენდა გულდასმით, მაძლევდა შეკითხვებს და გულმოდგინედ კითხულობდა ლიტერატურას თავდაცვითს საკითხებზე. როდესაც ს. ქ. თ. პირველი საფეხურის ნორმებს გვაბარებდა, მის პასუხებს პირდაპირ აღტაცებაში მოვყავდით, მან მიიღო შეფასება—„ფრიადი“.

დიასახლისი ხუციშვილი ეკა მარტო თვითონ იყო დაინტერესებული, არამედ თავის მეზობელ დიასახლისებსაც აინტერესებდა თავდაცვითი საკითხების შესწავლით. მან და მისმა ამხანაგებმა ს. ქ. თ. ნორმები „ფრიადზე“ და „კარგზე“ ჩააბარეს. არასოდეს არ დამავიწყდება დიასახლისი ჭახრაკია, იგი უკვე მოეხარა წელთა სმრავლეს, თმაც შეეერცხლოდა, მიუხედავად ამისა, ახალგაზრდული გატაცებით მეცადინეობდა და კარგადაც ჩააბარა ნორმები. საუკეთესო მომზადება გვიჩვენეს აგრეთვე ვ. ხოსიტაშვილმა, ზ. ტატარუევამ, ა. ციციანოვმა, თ. ნასყიდაშვილმა, ი. ტურმა, ლ. ტეტრუევამ და სხვ.

XVIII პარტყრილობის პატივსაცემად მე მოვამზადე ერთი ჯგუფი. ახლა ვამზადებ პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე № 111—107 და 109 სახლში მცხოვრებ დიასახლისებს.

დიასახლისი შურა ქაჯაია

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲐ-ᲐᲕᲘᲐᲥᲘᲛᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲰᲥᲛᲜᲐᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ᲠᲐᲖᲝᲛ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲐᲠ ᲓᲔᲑᲣᲚᲝᲑᲔᲜ ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ

ჟურნალ-გაზეთების საქართველოს რესპუბლიკური ექსპედიციის (უფროსი—მამედ ველიევი) მოუქნელი მუშაობის გამო ხელისმომწერელი ჟურნალ-გაზეთებს თავის დროზე ვერ ღებულობენ, ხოლო ზოგჯერ კიდეც ეკარგებათ ისინი.

ექსპედიციაში შემოდის უამრავი საჩივრები ჟურნალ-გაზეთების მიუღებლობის შესახებ. იმის მაგიერ, რომ ექსპედიციის მუშაკებმა აქედან საჭირო დასკვნები გააკეთონ და თავიანთი მუშაობა გარდაჭმნან, ისინი საჩივრებზე ფორმალურ ბიუროკრატიულ პასუხებს იძლევიან.

ჩვენი გაზეთის 12 მარტის ნომერს მასში მოთავსებული იყო დიდი ბელადის ანხანაგ სტალინის საანგარიშო მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე. ეს ნომერი ქალაქ ფოთს უნდა მიეღო 1,094 ცალი, მაგრამ ექსპედიციის უპასუხისმგებლო მუშაობის შედეგად იქ გაიგზავნა მხოლოდ 94 ცალი. მიუხედავად თავის დროზე მიღებული ცნობისა, ექსპედიციამ 16 მარტს გაგზავნა აღნიშნული ნომერი და მაშინაც ხუთასი ცალი გაზეთი დააკლო.

ხშირია შემთხვევები, როცა გაზეთები ერთი რაიონის მაგიერ მეორე რაიონს ეგზავნება, რის გამო გაზეთები ადგილებზე 3-5 დღის დაგვიანებით მიდის.

უფროსი ექსპედიტორის ალ. შერბანინის დაუდევრობით 14 აპრილის გაზეთი „კომუნისტი“ 2099 ცალი და „ზარია ვოსტოკა“ 319 ცალი ჭიათურის მაგიერ გაიგზავნა ქ. ქუთაისში, რის შედეგად ქუთაისიდან დაბრუნებული გაზეთები ჭიათურაში გაგზავნეს 17 აპრილს 2082 ცალი, ე. ი. 17 ცალით ნაკლები, ხოლო „ზარია ვოსტოკა“ სრულებით არ გაუგზავნიათ.

8 მარტს ბათუმში გაგზავნეს მახარაძის რაიონში გასაგზავნი 500 ცალი გაზ. „კომუნისტი“. ამის გამო მახარაძის რაიონმა გაზეთი 3 დღით დაგვიანებით მიიღო.

29 აპრილს ახალციხის რაიონს დააკლეს 100 ცალი გაზ. „კომუნისტი“ და 100 ცალი „ზარია ვოსტოკა“. გაზეთის ეს ნომრები ახალციხეში 6 მაისს გაგზავნეს.

6 მაისს ორბელის ფოსტას (ცაგერის რაიონი) არ მიუღია 60 ცალი გაზ. „საბჭოთა მასწავლებელი“ და სხვ.

არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების სარეპიონო ექსპედიციების და საფოსტო განყოფილებების მუშაობა.

კავშირგაბმულობის წალენჯიხის რაიონგანყოფილების ზოგიერთმა მუშაკებმა ი.იც კი არ იციან, თუ რომელი ჟურნალი და გაზეთი გამოდის. ამ რაიონის № 2 ჩაის ფაბრიკის თანამშრომელს ე. გაგუას არ მიუღია გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ და ჟურნალი „მნათობი“, როდესაც მან საჩივრით მიმართა კავშირგაბმულობის მუშაკებს, უპასუხეს „მგონი ჟურნალი „მნათობი“ დახურულიაო“.

სუფსის ფოსტის გამგე (ლანჩხუთის რაიონი) გაზეთების გამოსაწერად მისულ მშრომელებს უარით ისტუმრებს. მან გაზ. „კომუნისტი“ არ გამოუწერა ჩვენი გაზეთის მუდმივ ხელისმომწერ ს. ტყავაძეს.

წალკის რაიონის სოფ. ხონდოს და რეჩინ დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს ნ. კვარაცხელიას და სხვებს გამოწერილი ჰქონდათ გაზ. „კომუნისტი“, მაგრამ თვეში მხოლოდ 8-10 ნომერს ღებულობდნენ, დანარჩენი უგზო-უკვლოდ იკარგებოდა. მაისიდან კი კუნის საფოსტო განყოფილებამ აღნიშნულ მასწავლებლებს სრულიად შეუწყვიტა გაზეთის გამოწერა, რის მოტივად მოიყვანა: „ქართული გაზეთები მაინც არ მოდის და რად გინდათ მისი გამოწერაო“.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს ფოსტის განყოფილებებისადმი უსულგულო დამოკიდებულება დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას. მშრომელები ჟურნალ-გაზეთებს თავის დროზე უნდა ღებულობდნენ.

ან. ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲕᲚ. ᲛᲔᲪᲠᲔᲚᲐᲫᲔ
Ა. ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲫᲔ.

ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲐᲯᲙᲘᲪᲝᲗ ᲛᲝᲙᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲯᲔᲑᲐ

ჭიათურის ვოროშილოვის სახელობის მაღარომ საგრძნობლად გარდაჰქმნა მუშაობა. მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მაღაროს მუშებში. ერთიორად გაიზარდა სტახანოველთა რიცხვი. აპრილში მაღაროს უნღა დაემზადებინა 8.750 ტონა გასარეცხი მადანი, ფაქტიურად დაამზადა 11.567 ტონა, გეგმა 132,2 პროცენტით შეასრულა. გარეცხვის გეგმა კი ქარხანამ შეასრულა 115,1 პროცენტით. მაღარო კარგად მუშაობს მაისშიც. 13 მაისამდე გამოღების გეგმა 120,1 პროცენტით შესრულდა, ხოლო გარეცხვისა 107 პროცენტით.

სტახანოველები ი. ცუცქირიძე, უ. მაჭავარიანი, დ. ჭოხონელიძე, ლ. თაბაგარი, აკ. ყიფშიძე და სხვ. ყოველდღიურ გეგმას 200-250 პროცენტით ასრულებენ. მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან პირველი უბნის გამგე რ. სადუნიშვილი, მესამე უბნის გამგე შ. ხვედელიძე და ქარხნის გამგე ინჟინერი ი. კაკაბაძე. მოპოვებული წარმატებები მაღაროს ბოლომდე უნდა შეინარჩუნოს.

გ. ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ

ᲖᲐᲜᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲚᲘᲡ ᲛᲭᲐᲕᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ

თბილისის ფარმაკო-ქიმიურმა ქარხანამ აითვისა ტანინისა და გალის მჟავას წარმოება. ტანინს ფართოდ იყენებენ მედიცინაში, საფეიქრო მრეწველობაში და სხვ.

ქარხნის მიერ გამოშვებული ტანინისა და გალის მჟავას ნიმუშები გადაგზავნილია მოსკოვში და ლენინგრადში სათანადო დასკვნისათვის.

ქარხანამ პროფ. იაკიმოვის მეშვეობით აღზარდა ახალგაზრდა ქიმიკოსთა კადრები ტანინისა და გალის მჟავას წარმოებისათვის. ამასთან ერთად გაიზარდა კვალიფიციური მუშების კადრები ამ დარგში.

ამჟამად განზრახულია წარმოების გაფართოება. ამ მიზნით ქარხნის ტერიტორიაზე გამოყოფილია სათანადო ფართობი, სადაც აგებული იქნება ტანინისა და გალის მჟავას სპეციალური საამქრო.

Ე. ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲝᲕᲘ

თბილისის ფარმაკო-ქიმიური ქარხნის დირექტორი.

ᲧᲘᲜᲣᲚᲘ ᲝᲠᲗᲥᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ზაფხულობით თბოელექტროცენტრალებში დიდძალი ზედმეტი ორთქლი მოიპოვება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ყინულის დასამზადებლად. ორთქლისაგან ყინულის მიმღები პირველი საცდელი მაცივარი დანადგარი ამუშავდება ივნისში მოსკოვის № 8 თბოელექტროცენტრალში. ეს დანადგარი საათში ერთ ტონა ყინულს (100 ათას კალორია სიცივეს) მოგვცემს კვების მრეწველობისათვის.

ივნისში სრულიად - საკავშირო თბოტექნიკურ ინსტიტუტში (მოსკოვი) ამუშავდება მაცივარი დანადგარი, რომელიც საათში 10 ათას კალორიას გამომუშავებს. აქ ჩაატარებენ ცდებს, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული ყინულის გამოსამუშავებლად ცხელი წყალი ორთქლის ნაცვლად. (საკდესი).

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲬᲔ

ამხ. მაისკი ერთა ლიგის საბჭოს სესიის თავმჯდომარე

ჟენევა, 22 მაისი (საკდესი). დღეს იხსნება ერთა ლიგის საბჭოს მე-105 სესია. ამ სესიის თავმჯდომარედ იქნება სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლონდონში ამხ. მაისკი.

სესიის დღის წესრიგში სდგას მეტწილად ტექნიკური და ადმინისტრატიული საკითხები. გამონაკლისს შეადგენს შემდეგი 3 პოლიტიკური საკითხი: ჩინეთის მთავრობის აპელაცია, რომელიც გადმოტანილია ერთა ლიგის საბჭოს წინანდელი სესიებიდან და პალესტინის საკითხი.

ფაშისტური შეთქმულება მექსიკაში

ნიუ-იორკი, 21 მაისი (საკდესი). როგორც ამერიკული გაზეთი „დეილი უორკერი“ იუწყება, მექსიკის პროფკავშირთა ხელმძღვანელმა ლომბარდო ტოლედანომ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, მექსიკელი ფაშისტები კარდენასის მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებენო.

ფაშისტთა ბანდებს, — აღნიშნა ტოლედანომ, — კონტრაბანდული გზით შემოაქვს იარაღი ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მექსიკელი ფაშისტების აქტივობა ამ უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად გაძლიერდა. გასულ კვირეში ამერიკის შეერთებული შტატების მოსაზღვრე ქალაქ სიუდად ხუარესში ფაშისტებმა მოჰკლეს აგენტობრივი პროფკავშირის ხელმძღვანელი მელენდეზი. ტოლედანომ მოსაზღვრე რაიონების პროფკავშირთა ხელმძღვანელებს მისცა მითითება, გამოიჩინონ სიფხიზლე და გააჩაღონ ბრძოლა ფაშისტების მიერ მექსიკაში იარაღის გადმოგზავნის ცდებთან.

იტალიელი მფრინავები იაპონიის არმიაში

გაზეთი „ჩიკაგო დეილი ნიუსი“ სწერს, რომ იტალია იაპონიის არმიას თვითმფრინავებსა და ავიაინსტრუქტორებს აწვდის. ამ უკანასკნელ დროს ჩინელმა მფრინავებმა ჩამოაგდეს იტალიის 15 ყუმბარმშენი. თვითმფრინავთა ნამტვრევებში იპოვნეს რამდენიმე მოკლული მფრინავი. ესენი ალბათ, იტალიელები არიან, რომელნიც იაპონიის ავიაციაში ინსტრუქტორებად მსახურებდნენ.

გაზეთის კორესპონდენტს პირადად უნახავს იტალიის ორმოტორიანი ყუმბარმშენი „სავოიის“ ტიპისა, რომელიც ტყვიამფრქვევებით იქნა ჩამოგდებული.

ჩინელი ჯარისკაცები, რომლებმაც ეს ყუმბარმშენი ჩამოაგდეს, უაღრესად გაოცებული იყვნენ, როდესაც მათ თვითმფრინავის კაბინაში იპოვნეს ორი მფრინავი: ერთ მათგანს ყელი ჰქონდა გამოჭრილი, მეორეს კი მუცელი ჰქონდა გამოფატული. პირველი მოკლული, ყველა ნიშნის მიხედვით, იტალიელი იყო, მეორე კი იაპონელი პოლკოვნიკი. გვამების მდგომარეობა მოწმობდა, რომ იაპონელს ყელი გამოუჭრია იტალიელისათვის და თვითონ კი თავი მოუკლავს „ხარაკირის“ გზით.

22 მაისი. (საკდესი).

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ჩუნცინელი და შანხაელი კორესპონდენტების ცნობათა მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ხუბეის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში ჩინეთის ჯარმა იაპონელები ძოიანის დასავლეთით არსებული მთელი რიგი პუნქტებიდან განდევნა და 19 მაისს თვით ქალაქს მიუახლოვდა. 4 ათასი კაცისაგან შემდგარი იაპონელთა რაზმი ძოიანიდან უკან იხევს.

ხანკოუდან დასავლეთისაკენ ჩინეთის ჯარის ნაწილებმა გადასჭრეს ხანკოუ-იჩანის გზატკეცილი.

15 მაისს ხანჯოუს ჩრდილო-აღმოსავლეთით პარტიზანებმა ტუნსიანზე იერიში მიიტანეს და ქალაქი ბრძოლით დაიკავეს. პარტიზანებმა გაანადგურეს მარიონეტული „მთავრობის“ საპოლიციო სამმართველო და მთელი რიგი დაწესებულებანი და მეორე დღეს დასტოვეს ქალაქი. ტუნსიანისათვის წარმოებულ ბრძოლაში იაპონელებს 70 კაცი მოუკლეს.

„ტყის მრეწველობის საპატიო მუშაკის“ ნიშნით დაჯილდოებულები (მარცხნიდან მარჯვნივ): ზევით — ამხ. ა. იეღუფოვი, ნ. ლომიძე, ნინო ქერქაძე, არ. ღვალაძე, ვ. ტორაძე, არ. რურუა, ი. ქურდაძე, ბ. ბაღიშვილი, ა. ვორონინი; ქვევით — გრ. მარტიროსოვი, ლ. კოკაია, სოჯიო ალექსანიანი, ა. ბუთხუზი, აპ. ქაბუნინაძე, გ. ჩითავიშვილი, ო. ბუხარეკინი, ი. ლატარია და ა. მესხი.

ფოტო რ. აკოფოვისა

ერევნელი ბიბლიოთეკა

ამხ. მაისკი ერთა ლიგის საბჭოს სესიის თავმჯდომარე

გერმანული პრესა ბერლინში ჩიანოს ჩასვლის გამო

ბერლინი, 21 მაისი (საკდესი). ბერლინის ყველა გაზეთი სავსეა სტატიებით, რომლებიც მიძღვნილია ბერლინში იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიანოს ჩასვლისადმი. სტატიები ხაზგასმული საომარი სულისკვეთებითაა გამსჭვალული. გაზეთები მკაცრად ილაშქრებენ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის წინააღმდეგ და თავს ესხმიან ჩემბერლენსა და რუზველტს. გაზეთი „ბერლინერ ბერზენცაიტუნგი“ ტრაბახობს, რომ იტალიისა და გერმანიის „სიმაგრენი საიმედოა“, და აღნიშნავს, რომ ეს სიმაგრენი მიმართული არიან საფრანგეთის წინააღმდეგ.

ფრანგული გაზეთი იტალიაზე გერმანიის გავლენის შესახებ

პარიზი, 21 მაისი (საკდესი). ტაბუი გაზეთ „ევრში“ სწერს, რომ იტალიის არმია ამჟამად დღითი-დღესულ უფრო დამოკიდებული ხდება გერმანიის შტაბისაგან. იტალია ერთ ნაბიჯსაც კი ვერ გადასდგამს ისე, თუ გერმანიის შტაბის მხრივ წინასწარი თანხმობა არ იქნა.

ფრანგი ჟურნალისტი-ქალი დასძენს, რომ, როგორც ეტყობა, გერმანია ახლა დაჟინებით მოითხოვს, რათა იტალიის არმიის ხელმძღვანელობას ჩამოაშორონ მარშალი ბადოლიო.

იაპონელ ჯარისკაცთა წერილები

ინგლისურმა გაზეთმა „საუტ ჩაინა მორნინგ პოსტმა“, რომელიც ჰონკონგში გამოდის, მოათავსა რამდენიმე ნაწყვეტი მოკლული, აგრეთვე ტყვედწაყვანილი იაპონელი ჯარისკაცების წერილებიდან, რაც ჩინელებს ხელში ჩაუვარდათ. წერილებში ასახულია თავიანთ ოჯახებს ძალდატანებით მოწყვეტილ იაპონელ ჯარისკაცთა დაღლილობა, სამშობლოში დაბრუნების წყურვილი და დიდი გულგატეხილობა. „ჩინეთს, — ნათქვამია ერთ წერილში, — უზარმაზარი ტერიტორია უკავია, და, თუმცა ჩვენ ამ ქვეყანაში დიდი მანძილი გავიარეთ, მაგრამ ყოველთვის გვგონია, რომ მას დასასრული არასოდეს არ ექნება“.

„მძიმეა იმის ფიქრი,—ნათქვამია მეორე წერილში,—თუ როდის დავბრუნდები სამშობლოში. მგონია, რომ, თუ ეს ოდესმე მოხდება, ალბათ, მე შინ პატარა ხის ყუთით (ურნით) მიმიტანენ“.

თუ როგორ აფასებენ იაპონელები ჩინელ მებრძოლებს, ეს ყველაზე უკეთ არის გამოხატული ერთი იაპონელი უმცროსი ლეიტენანტის ფუტამურის სიტყვებით. იგი სწერს: „როდესაც მათ ვუახლოვდებით, ისინი ჰქრებიან, გრამ უკან მოხედვას ვერ მოახერხებ, რომ უფრო სწრაფადაც კი ბრუნდებიან, ვიდრე გაჰქრნენ. ზოგჯერ ღამით ისე მოგვიახლოვდებიან ხოლმე, რომ თავისუფლად შეიძლიათ თავიანთი ხელყუმბარები გამოიყენონ. ჩინელები, სამოქალაქო ტანისამოსით გადაცმულნი, ადვილად შემოიპარებიან ხოლმე ჩვენი სანგრების ხაზებში. ისინი ღამით თავს ესხმიან ჩვენს განცალკევებულ ნაწილებს, ანგრევენ ხიდებსა და ჩვენს კომუნიკაციებს და ამნაირად მუდმივ შიშში გვამყოფებენ“.

ზოგიერთ წერილში ლაპარაკია ჩინეთში მომქმედი იაპონელთა არმიის სუსტ ფიზიკურ და მორალურ მდგომარეობაზე. „ჩვენი ჯარის ნახევარი, — ნათქვამია ერთ წერილში, — ავადმყოფობასა და საერთოდ დაუძლურებას განიცდის. ეს ჩვენს ოპერაციებს დიდად აფერხებს“.

21 მაისი. (საკდესი).

სამხედრო სკოლის კურსდამთავრებული ჩინელი ქალაშვილი.

საკდესის ფოტოქრონიკა

ლ. ჰ. ბერიას სახელობის კროსი

24 მაისს თბილისში ჩატარდება ლ. ჰ. ბერიას სახელობის ტრადიციული კროსი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ „დინამოს“, „სპარტაკის“, „ლოკომოტივის“, „პიშჩევიკის“, „ნაუკას“, ლ. ჰ. ბერიას სახელობის ფიზკულტურის ტექნიკუმისა და საშუალო სკოლების ფიზკულტურელები. კროსში მონაწილეობას მიიღებს 7.000-მდე მორბენალი. სულ ჩატარდება შვიდი კროსი. ქალთათვის სირბილში შეჯიბრება ჩატარდება 500 და 1.000 მეტრის მანძილზე, ვაჟთათვის—1.000, 3.000 და 5.000 მეტრზე.

პირველი კროსის სტარტი დანიშნულია ღილის 9 საათზე და 30 წუთზე მთავრობის სასახლესთან.

მიმდინარე წელს ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის კროსში თბილისის ფიზკულტურელებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ბათუმის, სოხუმის, ქუთაისისა და სტალინირის საუკეთესო მორბენლები.

ვოროშილოვის სახელობის კლუბში

23 მაისს იხსნება მეფლანშრომის კავშირის ვოროშილოვის სახელობის კლუბის საზაფხულო სეზონი.

გახსნის დღეს კლუბში გაიმართება დიდი კონცერტი. ესტრადაზე გამოვლენ: მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, რსფსრ-ის დამსახურებული არტისტი ე. გოლიაშვილი, რუსთაველის თეატრის მსახიობები—ორდენოსნები საღარაძე და ჯაფარიძე, ესტრადის მსახიობი რუსოვსკაია (სატირა), კოლოტოვა (ჟანრული სიმღერები), ცაგურია და კაკაჯანიშვილის ტრიო. როიალთან — კომპოზიტორი შავერზაშვილი.

კინო-თეატრში ნაჩვენები იქნება მხატვრული ხმოვანი ფილმი „ექიმი იბოლიტი“. ბაღში დაუკრავს სასულე ორკესტრი გ. ოგანესოვის ხელმძღვანელობით, ჯაზ-ორკესტრი გ. სეხნაშვილის ხელმძღვანელობით. საცეკვაო მოედანზე — კავკასიური და ევროპული ცეკვები. ატრაქციონი—„ორი ცენტი“ და სხვ.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს,

რომ 11 ივნისს საღამოს 7 საათზე, აუდიტორიაში № 93 ფილოლოგიურ ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ამხ. **ივანე იოსების-ძე ბეგლაროვი** დაიცავს დისერტაციის ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე:

„გ. დოდოხიანის ცხოვრება და შემოქმედება“ (ორ წიგნად).

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. **ლეონ მელიქსეტ-ბეკი** და ფილოლოგ. მეცნ. დოქტორი პროფ. **იუსტინე აბულაძე.**

პირველი წიგნი გამოქვეყნებულია, მეორის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი დ. ჟიფშიძე.

624

დღეს, 23 მაისს, საღამოს 7 საათზე თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში ისტორიის ფაკულტეტის ინიციატივით ეწყობა უნივერსიტეტის

კოლექტივის შეხვედრა საქართველოს საბჭოთა ორდენოსან მწერლებთან

შეხვედრაში მონაწილეობენ ალიო მაშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, გიორგი ლეონიძე, ილო მოსაშვილი, ლეო ქიაჩელი, დემნა შენგელაია, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, სანდრო შანშიაშვილი, სანდრო ეული, ალ. აბაშელი.

სიტყვით გამოვა **დ. ბენაშვილი.** დასასრულს გაიმართება კონცერტი.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი დ. ჟიფშიძე.

გაყიდეთ ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოები მშობლებო და მოსწავლეებო!

სახელგამის წიგნის ყველა მაღაზიის მიერ სწარმოებს ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების **შესყიდვა.**

ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის პირობები გამოკრულია წიგნის ყველა მაღაზიაში და სკოლებში.

100

საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების განცხადებაში — მიღების პირობებში, რაც გაზ. „კომუნისტის“ ა. წ. 15/V-ის № 109-ში გამოქვეყნდა,

დაბეჭდილია

ფრიადოსნები მიიღებიან საერთო წესით, დანარჩენები ჩააბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

ა) რუსული ენა (წერითი თხზულება, გრამატიკა და ლიტერატურა).

უნდა იყოს

ფრიადოსნები მიიღებიან საერთო წესით, დანარჩენები ჩააბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

ა) ქართული ენა (წერითი თხზულება, გრამატიკა და ლიტერატურა).

ბ) რუსული ენა. 582

ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველო იუწყება, რომ 24-25 მაისს ღამით მოქმედებაში შედის სამგზავრო მატარებლების ახალი საზაფხულო განრიგება. თბილისის სამგზავრო სადგურზე დანესებულია მაფარებლების მოსვლისა და გასვლის შემდეგი საათები.

თბილისიდან გადის																			
მოსკოვამდე	მატ.	№	29	ჩქარი	19	ს.	37	წ.	ყოველდღე										
„	„	№	47	სამგზ.	20	ს.	38	წ.	„										
როსტოვამდე	„	№	71	საფოსტო	21	ს.	16	წ.	„										
კისლოვოდსკამდე	„	№	61	სამგზ.	11	ს.	55	წ.	„										
ბაქომდე	„	№	73	საფოსტო	13	ს.	45	წ.	„										
„	„	№	41	სამგზ.	23	ს.	50	წ.	„										
ჯულფამდე	„	№	77	საფ.	18	ს.	00	წ.	„										
ერევნამდე	„	№	57	სამგზ.	14	ს.	07	წ.	„										
„	„	№	59	„	23	ს.	30	წ.	„										
ლენინაკანამდე	„	№	69	„	6	ს.	55	წ.	საჭიროების მიხედვით										
თელავამდე	„	№	79	საფ.	10	ს.	15	წ.	ყოველდღე										
„	„	№	67	სამგზ.	21	ს.	50	წ.	„										
წნორისწყალამდე	„	№	65	„	0	ს.	14	წ.	„										
ბათუმამდე	„	№	74	საფ.	7	ს.	45	წ.	„										
„	„	№	42	სამგზ.	18	ს.	37	წ.	„										
„	„	№	44	„	0	ს.	25	წ.	„										
სოხუმამდე	„	№	46	„	1	ს.	05	წ.	საჭიროების მიხედვით										
„	„	№	76	საფ.	16	ს.	46	წ.	ყოველდღე										
ფოთი—ნავსადგურამდე	„	№	52	სამგზ.	21	ს.	30	წ.	„										
ქუთაისამდე	„	№	50	„	14	ს.	35	წ.	„										
ბორჯომ-პარკამდე	„	№	54	„	6	ს.	27	წ.	„										
„	„	№	56	„	15	ს.	30	წ.	„										
„	„	№	92	„	17	ს.	48	წ.	საჭიროების მიხედვით										
გორამდე	„	№	106	საგარეუბ.	8	ს.	50	წ.	გამოსასვლელ დღეებში										
„	„	№	102	„	12	ს.	05	წ.	ყოველდღე										
კასპამდე	„	№	104	„	12	ს.	48	წ.	„										
ნავთლუღამდე	„	№	111	„	5	ს.	07	წ.	„										
„	„	№	113	„	7	ს.	17	წ.	„										
„	„	№	115	„	15	ს.	25	წ.	„										
„	„	№	117	„	18	ს.	40	წ.	„										

თბილისში მოდის																			
მოსკოვიდან	მატ.	№	48	სამგზ.	11	ს.	14	წ.	ყოველდღე										
„	„	№	30	ჩქარი	12	ს.	37	წ.	„										
როსტოვიდან	„	№	72	საფოსტო	10	ს.	30	წ.	„										
კისლოვოდსკიდან	„	№	62	სამგზ.	4	ს.	21	წ.	„										
ბაქოდან	„	№	74	საფ.	7	ს.	05	წ.	„										
„	„	№	42	სამგზ.	17	ს.	40	წ.	„										
ჯულფიდან	„	№	78	საფ.	8	ს.	30	წ.	„										
ერევნიდან	„	№	58	სამგზ.	3	ს.	44	წ.	„										
„	„	№	60	„	12	ს.	10	წ.	„										
ლენინაკანიდან	„	№	70	„	17	ს.	10	წ.	საჭიროების მიხედვით										
თელავიდან	„	№	80	საფ.	5	ს.	50	წ.	ყოველდღე										
„	„	№	68	სამგ.	15	ს.	50	წ.	„										
წნორისწყლიდან	„	№	66	„	18	ს.	20	წ.	„										
ბათუმიდან	„	№	43	„	6	ს.	42	წ.	„										
„	„	№	73	საფ.	13	ს.	05	წ.	„										
„	„	№	41	სამგზ.	22	ს.	53	წ.	„										
სოხუმიდან	„	№	75	საფ.	9	ს.	42	წ.	„										
„	„	№	45	სამგზ.	14	ს.	15	წ.	საჭიროების მიხედვით										
ფოთ-ნავსადგურიდან	„	№	51	„	10	ს.	55	წ.	ყოველდღე										
ქუთაისიდან	„	№	49	„	8	ს.	17	წ.	„										
ბორჯომიდან	„	№	91	„	4	ს.	27	წ.	საჭიროების მიხედვით										
„	„	№	55	„	5	ს.	55	წ.	ყოველდღე										
„	„	№	53	„	19	ს.	47	წ.	„										
გორიდან	„	№	101	საგარეუბ.	18	ს.	05	წ.	„										
„	„	№	105	„	21	ს.	13	წ.	გამოსასვლელ დღეებში										
კასპიდან	„	№	103	„	16	ს.	20	წ.	ყოველდღე										
ნავთლუღიდან	„	№	112	„	6	ს.	37	წ.	„										
„	„	№	114	„	8	ს.	57	წ.	„										
„	„	№	116	„	16	ს.	50	წ.	„										
„	„	№	118	„	20	ს.	50	წ.	„										

მატარებლების გასვლისა და მოსვლის საათები ნაჩვენებია მოსკოვის დროით, რომელიც 1 საათით ჩამორჩება ადგილობრივ დროს. 623

ა.-კ. რკ. გზის გუფეტების ტრესტი აცხადებს,

რომ ა. წ. 24 მაისიდან სადგ. მცხეთაში ყოფილ რკ. მგზ. ბაღში მცხოვრის პირად იხსნება საზაფხულო პავილიონი,

სადაც ქერქების დამზადება იწარმოებს ბამოცდილი კულინარების მიერ. ფასები ხელმისაწვდომია.

პავილიონი ღიაა დილის 7 საათიდან ღამის 4 საათამდე. ბაღში ყოველდღიურად დაუკრავს აზიური მუსიკა მეთარე **პეტრეს დადაევის** ხელმძღვანელობით.

2—1 169

დირექცია.

ექიმ ქანგორეოვიჩის

თმის მკურნალობისა და კოსმეტიკის

კაბინეტი

ელბაქიძის დაღმართი, 21

მიღება დილის 12—4 ს.

მუწუკების, ფერისმეტამელას, ჭორფლის, ლაქების, კანის სიხმელის, თმის დაცვენის, თვალის მკურნალობა, ბალების, მეჩეჩების, ნაჭრილობევების და პირისახისა და თავის კანის სხვა ნაკლოვა გაქრობა. 3—1 1768

მშობლები სპირიდონ, მაშო, მეუღლე ბაბუცა, შვილები შოთა, გუგული და ლილი, ძმა თეოფანე, დები ნინო, ვერა ჭუბაბრიები იუწყებიან

აპოლონ ჭუბაბრიას

გარდაცვალებას. გამოსვენება 24/V, ქლარა ცეტკინის, 6. 1893

დამწუხრებული ძმისწული ანო ბეჟანოვი მეუღლით ტიგრანთი, შვილებით რობერტით და სესილიათი იუწყება დაუვიწყარი მამიდის

ნინო იოსების-ასულ ზალდასტანიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ზემო-მაჩხანაში 23/V. 1890

მეუღლე ქსენია, შვილი კუკური, ბიძა მიხა, ბიცოლა ეიეინო, ცოლისძმა ბ. გოგია ცოლშვილით, სარა, ლენა, თამარ, ტოგო, ნადია გოგიები, კ. აქბარდია იუწყებიან

იონა კილაბერიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. სოხუმში 24/V. 1894

თამარ, სალვე დეკდარიანები შვილებით ეთერით და ცირათი იუწყებიან ძვირფასი რძლის და ბიცოლას

ნინო დეკდარიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. ჩერნიშევის, 15. დაკრძალვა 25/V 5½ ს. კუკიის სასაფლაოზე. 1895

შვილები შალვა, თამარ, ძმა მიშა, და ნანუშა ერისთავი, დისწული ლენა ერისთავი-თევდორაძისა ქმარშვილით იუწყებიან, რომ 24/V 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია

პეტრე ვლადიმერის-ძე ვასილიევის

სამოქ. პანაშვიდი. 1886

ღრმად დამწუხრებული ბებია პეკე, ბიძა ალექსანდრე, ბიცოლა თამარ, ბიძაშვილები ოლია, შალიკო, ვაღურია დგებუაძეები იუწყებიან საყვარელ

ალიოშა სერაპიონის-ძე ჩაჩიბაიას

გარდაცვალებას. 1887

არტელ „ახალმშენის“ მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან

სპირიდონ ოქროპირის-ძე ბერაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ავჭალაში 24/V 5 ს. 1879

ეძიმი

მძინარიშვილი

ვეტერიული. სქესობრივი სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა).

ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 ს. საღ. 6—9 ს. გრიბოედოვის ქ. № 20, მე-4 შესასვალი, ბინა № 57.

10—1 1781

სადგ. ცხაკაიას რკინიგზის პოლიკლინიკის და ბაგის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფას ექიმ

თენგიზ სოლომონის-ძე ადამიას

გარდაცვალებას. 1830

მეუღლე ქსენია შვილებით, მამა სერაპიონ, ძმა ვალოდია, რძალი ლიდა ჩაჩიბაიები, და ოლია შალამბერიძისა შვილებით იუწყებიან საყვარელ

ალიოშა ჩაჩიბაიას

გარდაცვალებას. გამოსვენება 23/V 5 ს. ქუთაისის შესახვევი, 7. 1876

დამწუხრებული მეუღლე იაგორ, შვილები დიმიტრი მეუღლით, ნასტია, დარო. ელენე ქმრით და თამარ იუწყებიან მათთვის ძვირფას

ნინო იოსების-ასულ ზალდასტანიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ზემო-მაჩხანაში 23/V. 1888

დამწუხრებული მეუღლე ქსენია, შვილები ნუგზარ და როზა იუწყებიან დაუვიწყარ

დიმიტრი ელიზბარის-ძე ღოღობერიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/V 8 ს. კალინინის, 73. დაკრძალვა 24/V 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. 1880

დამწუხრებული შვილები აპოლონ, ტატიანა, რძალი ნათელა კეშელავები, სიძე კაკო ხარატაშვილი, მულისშვილი ქეთევან გეგელია იუწყებიან ძვირფას

გაიანე კეშელავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/V ქ. გალში. 1881

დამწუხრებული ვაჟიშვილები სიმონ, კოლია, რძლები ლუბა, მარგალიტა, ქალიშვილები ფატი, თამარ, ფაცუცა, სიძე სიმონ ფუჯიკურიძე იუწყებიან საყვარელი დედის

თეკლე ლუკას-ასულ ყენიას

გარდაცვალებას. 1882

მარიამ გუნდიაშვილი და სოფიო დუმბაძე შვილებით იუწყებიან საყვარელი დედის და ბებიის

ბარბალე გიორგის-ასულ გუნდიაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/V 7 ს. ფალიაშვილის, 22. გამოსვენება 24/V 1 ს. ვაკის სასაფლაოზე. 1883

ფინანსსაკომის რესპუბლიკური კურსების დირექცია, ლექტორთა შემადგენლობა, პარტიის, კომკავშირის და პროფკავშირის ორგანიზაციები იუწყებიან ამავე კურსების მსმენელ

სევერიანე სიმონის-ძე ქაკაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27/V ს. ჭინეში (ჩხოროწყუ). 1884

კომუნისტი

ერევნელი ბიბლიოთეკა

ამხ. მაისკი ერთა ლიგის საბჭოს სესიის თავმჯდომარე

ფაშისტური შეთქმულება მექსიკაში

ბერმანული პრესა ბერლინში ჩიანოს ჩასვლის გამო

ფრანგული გაზეთი იტალიაზე გერმანიის გავლენის შესახებ

იაპონელ ჯარისკაცთა წერილები

იტალიელი მფრინავები იაპონიის არმიაში

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ჩუნცინელი და შანხაელი კორესპონდენტების ცნობათა მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ლ. ჰ. ბერიას სახელობის კროსი

ვოროშილოვის სახელობის კლუბში

თბილისისა და ერევნის მუსიკალური სასწავლებლების შეჯიბრება

ტყის მრეწველობის მუშაკთა დაჯილდოება

მოჯო-გადარბენის მონაწილენი გორში

ლ. ჰ. ბერიას სახელობის ჩაჩიბაიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო

სპეციალისტები

შემოხვევები

დღეს სპორტზე

დღეს თეატრებში

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი: ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული—668